პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

- ჩეხო-სლოვაკიიდან მოსკოვში ჩავიდა საბჭოთა კავშირთან კულტურული დაახლოების საზ—ბის დელეგაცია.
- ლოკარნოდან დაბრუნებულ დელეგაციას ბერლინში საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.
- ბერლინში ფაშისტებსა და ყოფ. ჯარისკაცთა წითელ კავშირის წევრებს შორის შეტაკება მოხდა.
- ჩან ძოლინის წარმომადგენლებმა სვატოუში დააკავეს ნორვეგიის გემები.

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 242 (1397)

„კომუნისტი"
დააჩქარეთ ხელის მოწერა ნოემბრისათვის

პროფკავშირების მუშაობა

II

ჯანსაღი მუშათა დემოკრატია

„პროფკავშირებში რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნას განხორციელებული ჯანსაღი მუშათა დემოკრატია", ვკითხულობთ ცეკას დადგენილებაში პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.

ჩვენ ერთი ხანია ვატარებთ ლოზუნგს: პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ. ეს პოლიტიკურად ნიშნავს გლეხობის თაოსნობისა და თვითმოქმედებისათვის ფართე გასაქანის მიცემას, მის აქტიურ ჩაბმას მართვა-გამგეობასა და აღმშენებლობაში, საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცებას სოფლად. ამ ლოზუნგით გატაცებულთ, ჩვენ ბოლო დრომდე თითქო დაგვავიწყდა, რომ ამასთან პარალელურად უნდა გვეწარმოებია მუშაობა პროფკავშირთა მასსებში ნამდვილი მუშური დემოკრატიის გასატარებლად.

ასეთი „დავიწყების" წინააღმდეგ თავის დროზე სასტიკად გაილაშქრა ამხ. სტალინმა და აღნიშნა, რომ სწორედ ეხლა, როცა სოფლად ავიღეთ ახალი კურსი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირების გამოცოცხლებას, ვინაიდან მხოლოდ შეგნებულად შეკავშირებულ, მაღალი აქტივობის და თვითმოქმედების მატარებელ მუშათა კლასს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოსულ გლეხობას და იყოს მისი ღირსეული მეგზური. ამავე დროს, ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღორძინებასთან ერთად, მეტად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტივობა, რომელმაც პროფკავშირებშიც უნდა ჰპოვოს გამოსავალი. ამიტომაცაა, რომ პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა საბჭოების გამოცოცხლების ამოცანის გვერდით წამოაყენეს პროფკავშირების გამოცოცხლების ლოზუნგიც.

როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ ამ მიზანს?

პირველ ყოვლისა აქ უნდა შევეხოთ პარტიულ და პროფესიულ ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებას. „პროფკავშირების მიმართ ყველაზე ნაკლებადაა დასაშვები ბრძანებლობის და წვრილმანი ჩარევის მეთოდები", ნათქვამია ერთ ალაგას ცეკას ხსენებულ დადგენილებაში. ამას კი სინამდვილეში ხშირად ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი. არაა იშვიათი ისეთი შემთხვევები, როცა პარტუჯრედი ითვისებს ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის ფუნქციებს და უკანასკნელი ხდება პირველის უბრალო დამატებად, მხოლოდ მის გადაწყვეტილებათა ამსრულებელ-გამტარებლად. საკითხები შრომის პირობების, ხელფასის, კოლექტიურ ხელშეკრულებების, შეღავათების, სპეცტანისამოსის და სხვათა შესახებ ხშირად გადაიჭრება პარტორგანიზაციაში და ამით ირღვევა პროფკავშირთა მუშაობის მეთოდები. ეს ნდობას და ავტორიტეტს უკარგავს მუშებში პროფკავშირებს. ისინი სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა განხილვა-გადაჭრა შედის პროფკავშირების კომპეტენციაში, ხშირად გვერდს უვლიან უკანასკნელთ და პირდაპირ პარტუჯრედის ბიუროს მიმართავენ.

გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი პარტუჯრედისა და ქვედა პროფუჯრედს შორის ფუნქციების აღრევა, პროფორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში პარტორგანოების წვრილმანი ჩარევა. სამაგიეროდ უნდა გავაძლიეროთ პროფორგანიზაციებში ნამდვილი პარტხელმძღვანელობა. ეს უნდა ტარდებოდეს პროფკავშირების კომფრაქციების და კომუნისტური ჯგუფების საშუალებით, რომელთა მუშაობის მეთოდი უნდა იყოს არა ზედმოქმედება, არამედ დარწმუნება, ამა თუ იმ მოსაზრების დასაბუთება. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტები სათანადოთ იქნებიან მომზადებული და მასიურ მუშაობისათვის გამოსადეგნი, როცა მათ ექნებათ უნარი იცხოვრონ მუშათა ცხოვრებით, ალღო აუღონ მათ სულიერ განწყობილებას და საჭიროებათ. მხოლოდ მაშინ მოახერხებენ ისინი პარტიულ მძღვანელობის განხორციელებას და მუშების დაკავშირებას პროფკავშირთან და მისი მეშვეობით პარტიასთან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფორგანიზაციების გაძლიერებას შესაფერ პარტმუშაკებით.

ეს არ გულისხმობს, რა თქმა უნდა, პარტიის წევრების რიცხობრივ გაზრდას პროფორგანოებში. პირიქით, აქ გაცილებით მეტი ადგილი უნდა დაეთმოს უპარტიო მუშათა აქტივს და იგი ჩაბმულ იქნას პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოების, განსაკუთრებით ფაბქარკომების მუშაობაში. „რაბოჩაია გაზეტა"-ს (№ 225) მოჰყავს ცნობები 19 გუბერნიის ფაბქარკომების წევრთა შესახებ: კომუნისტები და კომკავშირელები აქ საერთოდ ნახევარზე მეტს შეადგენენ (54 პროც.), ცალკე შემთხვევებში კი მათი რიცხვი 70 პროცენტამდე აღწევს. ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქმიან მუშაობას ხშირად მარტო პრეზიდიუმი ან თავმჯდომარე და მდივანი აწარმოებენ, ფაბქარკომის სამუშაო აპარატში უპარტიო მუშათა მონაწილეობის პროცენტი 10—12-ს არ აღემატება.

ეს აშკარად არანორმალური მდგომარეობაა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ქვედა პროფუჯრედების ეხლა მიმდინარე არჩევნებში ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უპარტიო მოწინავე მუშები უნდა იქნენ მოზიდული სადელეგატო კრებების წევრებად, ფაბქარკომების წევრებად და ფასიან თანამდებობებზე დაც.

ამასთან ხაზგასასმელია ერთი გარემოება: პროფკავშირების პრაქტიკაში (აგრეთვე ზოგიერთ სხვა ორგანიზაციებშიც) დამკვიდრდა ერთი მავნე ჩვეულება: წლიდან წლამდე ირჩევენ სახელმძღვანელო ორგანოებში თითქმის ერთდაიმავე პირებს. ამ გზით იქმნება შესაძლებლობა პროფბიუროკრატიის კასტის წარმოშობის, პროფმუშაკების მოწყვეტისა მასსებისაგან. ამავე დროს პროფკავშირთა დანარჩენი წევრები, რომელთა შეგნება და საზოგადოებრივი აქტივობა გაიზარდა, ხშირად საშუალებას არიან მოკლებული მოხვდენ ხელმძღვანელ ორგანოებში. ამგვარად ახალი პროფმუშაკების მომზადების საქმე ძალზე მოიკოჭლებს და პროფორგანიზაცია ამ შემთხვევაში ვერ ამართლებს „კომუნიზმის სკოლის დანიშნულებას".

აუცილებლად საჭიროა მუშათა ახალ-ახალი კადრების წამოყენება პროფკავშირის არჩევნითი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. უსაფუძვლოა იმის შიში, რომ ისინი როგორც გამოუცდელნი, საქმეს ვერ გაუძღვებიან. ცოდნა და გამოცდილება ციდან არ ვარდება, იგი შეიძინება პრაქტიკულ მუშაობის პროცესში. ჩვენ ფართედ უნდა გაუღოთ კარი მუშათა ახალ ფენებს პროფორგანოებში. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი პირველ ხანებში ძველი მუშაკების დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობით. ამასთან ამ გზით ჩვენ შევსძლებთ პროფკავშირების დაახლოვებას მასსებთან. რაც შეეხება წინედ არჩეულ პროფმუშაკებს, ისინი ნაწილობრივ უნდა დაუბრუნოთ დაზგას, სადაც მათ შეუძლიათ მიღებული გამოცდილების მიხედვით საგრძნობი სარგებლობა მოუტანონ მუშებს. ეს გაზრდის აგრეთვე პასუხისმგებლობას ამომრჩეველ მასსის წინაშე.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პროფარჩევნები სავსებით თავისუფლად უნდა ხდებოდეს, ზევიდან თუ გარედან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მუშებს უნდა ჰქონდეთ სრული საშუალება აირჩიონ ის პირი, რომელსაც ისინი ენდობიან.

ასევე ცხადია, რომ არჩეული ორგანოები მუდამ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდენ მუშების წინაშე, ხშირად უნდა იწვევდენ საერთო კრებებს თავის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარსადგენათ და მომავალი მოქმედების გეგმის შესადგენად.

და აქ აზრთა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, საქმიან კრიტიკას უნდა მიეცეს ფართე გასაქანი.

პროფორგანოები უნდა მუშაობდენ არა განცალკევებულად, არა მუშების ზურგს უკან, არამედ ამ მუშაობით ცოცხლად უნდა იყვნენ დაინტერესებული წარმოების ყველა მუშები. **უნდა განხორციელდეს მუშათა მასსიური მონაწილეობა პროფორგანიზაციის ცხოვრებაში.** მხოლოდ მაშინ გადაიქცევა პროფკავშირი მუშების თვითმოქმედების ორგანიზაციად და კომუნიზმის სკოლად.

„კავშირი მასსასთან, ე. ი. მუშების უდიდეს უმრავლესობასთან (და შემდეგ ყველა მშრომელებთან), წარმოადგენს პროფკავშირის ყოველგვარი მოღვაწეობის ყველაზე ძვირფას, ყველაზე ძირითად პირობას", ამბობს მე-11-ე პარტყრილობის რეზოლიუცია. ეს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

გაიხსნა ჩინეთ-იაპონია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

ლატვიის საპარლამენტო დელეგაციასთან სწარმოებს მოლაპარაკება ეკონომიურ საკითხებზე

სამხრეთ-სლავიაში იმედს გამოსთქვამენ, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ახლო ხანში იქნება მოწესრიგებული

„საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა მტკიცეა, საბჭოთა კავშირი ეკონომიური აღორძინების გზას ადგია"

ჩინეთ-იაპონია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. გაიხსნა ჩინეთ-იაპონია-საბჭოთა კავშირის პირველი სარკინიგზო კონფერენცია.

გზათა სახ. კომისარმა **რუძუტაკმა** წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა და აღნიშნა, რომ კონფერენციის მოწვევის მიზანია საბჭოთა კავშირს, ჩინეთსა და იაპონიას შორის პირდაპირი სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლის აღდგენა.

იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარემ **სიცამ** წაიკითხა იაპონიის გზათა მინისტრის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მიმოსვლას ციმბირის საშუალებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ მიმოსვლაში მონაწილე ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ჩინეთის გზათა სამინისტროს წარმომადგენელმა **შარმა** და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის წარმომადგენელმა **გოფმანმა**, და აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა **რუდიიმ**, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენცია გამონახავს საერთო ენას და შეთანხმდება ყველა საკითხებში.

„ჩვენ არ შეგვიძლია შევჩერდეთ,—განაცხადა რუდიიმ,—იმ მიღწევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომამდე. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ტრანსპორტი ისე, რომ იგი გაცილებით უკეთესი იყოს, ვიდრე ომამდე.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა საქმიან მუშაობას.

მოლაპარაკება ლატვიის დელეგაციასთან

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს შესდგა ლატვიის საპარლამენტო დელეგაციის და საბჭოთა კომისიის გაერთიანებული **სხდომა, რომელზედაც სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის და ლატვიის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ.**

დამოკიდებულება სპარსეთთან

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 20 ოქტ. უკანასკნელ **ხანებში ევროპის პრესა იუწყება, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის მთავრობა უარყოფითად არის განწყობილი სპარსეთის ნაციონალურ მთავრობისადმი, რომელსაც რიზა-ხანი მეთაურობს, და თითქოს იგი მხარს უჭერდეს სპარსეთის შახს, რომელიც ამჟამათ ევროპაში იმყოფება.**

ევროპის პრესის მიზანია ამ შემთხვევაში ჩაბას საბჭოთა მთავრობა იმ ბრძოლაში, რომელიც უკანასკნელ ხანებში სწარმოებს სპარსეთში, გამოიყვანოს იგი შახის მომხრეთ და ამგვარათ გაამწვავოს დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასა და სპარსეთის ნაციონალურ მთავრობას შორის და ამით გაუადვილოს **იმპერიალისტურ სახელმწიფოებს თავიანთი ზრახვების განხორციელება სპარსეთში.**

რათა გაფანტულ იქნას ყველა ეს მოგონილი ჭორები, საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ **საბჭოთა მთავრობა სრულებით არ ერევა სპარსეთის შინაურ საქმეებში და მეგობრულადაა განწყობილი სპარსეთის ნაციონალურ მთავრობისადმი, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი რიზა-ხანი.**

კულტურული კავშირი ჩეხო-სლოვაკიასთან

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირთან კულტურულ დაახლოვების ჩეხო-სლოვაკიის საზოგადოების დელეგაცია ექიმ **ბარტოშეკის** თავმჯდომარეობით.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარის დროს ბარტოშეკმა სთქვა, რომ **დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია—საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ მიღწევათა ყოველმხრივი გაცნობა.**

დელეგაციამ ინახულა მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, გლეხის ცენტრალური სახლი და დაესწრო პერსიმფანსის კონცერტს.

მახლობელ დღეებში დელეგაცია ინახულებს სახ. განათლების კომისარს **ლუნაჩარსკის**, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, საზღვარ-გარეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოების თავმჯდომარეს კამენევას და მოსკოვის სხვა კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს.

ურთიერთობა სამხრეთ-სლავიასთან

ვენა, 19 ოქტომბერი. უკანასკნელ დროს სამხრეთ-სლავიის პრესა გაცხოველებით არჩევს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხს.

ამას წინად **მთავრობის გაზეთი იტყობინებოდა, რომ სამხრეთ-სლავიის ელჩი ბერლინში ბალდუჩიჩი შეხვდა ჩიჩერინსო; სამხრეთ-სლავიის პრესა ამ შეხვედრას აფასებდა, როგორც დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ-სლავიას შორის.** ამის შესახებ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელიც არ უარყოფს შეხვედრის ფაქტს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამას ჰქონდა კერძო ხასიათი.

ოპოზიციონური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილ იქნა, ბალდუჩიჩი დაინიშნება ელჩად მოსკოვში.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის ანგარიში

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ლონდონი, 19 ოქტ. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა, გამოაქვეყნა წინასწარი ანგარიში მოგზაურობის შესახებ. ანგარიშში ნათქვამია, რომ **საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა სავსებით მტკიცეა და რომ საბჭოთა კავშირი სდგას ეკონომიურ აღორძინების გზაზე.**

მუშათა პარტიის ორგანო **„დეილი გერალდი"** ეხება ანგარიშს და აცხადებს, რომ **საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხის მოგვარება წარმოადგენს ინგლისის პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას.**

ეკონომისტი **კეინსი** თავის წერილებში აცხადებს: **„შესაძლებელია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში საარსებო პირობები უკეთესი იქნეს, ვიდრე ომამდე, მაშინ როდესაც ევროპაში იგი უარესი იქნება".**

ამერიკელების წინადადება

ბერლინი, 19 ოქტ. გაზეთები იტყობინებიან, რომ ამერიკის ბანკები პრინციპიალურად თანახმა არიან ფინანსიური დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირში მომუშავე საზოგადოებას „ბოლომა"-ს შემდეგ პირობებში, გერმანელები იძლევიან გარანტიას, რომ ამერიკის კაპიტალი იქნება დაცული და საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშნული იქნებიან მხოლოდ გერმანელი და ამერიკელი სპეციალისტები, აგრეთვე მათ უფლება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ წარმოების პროდუქტები და აწარმოონ ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან. მოგებას იყოფენ გერმანელები და ამერიკელები, საბჭოთა მთავრობა ღებულობს განსაზღვრულ პროცენტს.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

ეკატერინოსლავში

20 ოქტ. 18 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა დნეპრის ჩქერები.

დელეგატები დაინტერესდენ „დნეპროსტროის" პროექტით და ჩაიწერეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცნობები.

ურალის ქარხნებში

სვერდლოვსკი 20 ოქტომბერი 18 ოქტომბერს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციამ ინახულა ურალის სამრეწველო ცენტრ [illegible] კიზელში, ტაგილში და ჩუსოვაიაში.



ამხ. კმენტი
დელეგაციის თავმჯდომარე

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი, 20 ოქტ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად, წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა გამოიხატა 1.140.233.000 მანეთში. ევროპაში გატანილია 506.925.000 მანეთის საქონელი.

თუ წლიურ ექსპორტს აზიაში ვივარაუდებთ 50 მილიონ მანეთად, მთელი წლის ექსპორტი გამოიხატება მაშინ 550—560 მილიონ მანეთში. ე. ი. წლიური საექსპორტო გეგმა შესრულებული იქნება 115 პროცენტით.

წარსული წლის განმავლობაში ევროპიდან შემოტანილია 633.808.000 მანეთის საქონელი. თუ ამას დაუმატებთ აზიიდან შემოტანილ საქონლის ღირებულებას—60 მილიონ მანეთს, მაშინ საერთო იმპორტი გამოიხატება 690—700 მილიონ მანეთში.

ლოკარნოს კონფერენციის შემდეგ

მემარცხენე ბლოკის წრეებში

პარიზი, 19 ოქტ. ლოკარნოს ხელშეკრულების დადება დიდ აღფრთოვანებას იწვევს მემარცხენე ბლოკის წრეებში. სოციალისტური „პოპული" აცხადებს, რომ ლოკარნოს შეთანხმება ახალ ფურცელს ხსნის ისტორიაში, რადგან ეს ნიშნავს ევროპაში მშვიდობიანობისა და თანამშრომლობის დამყარებას წინააღმდეგ რუსეთის ინტრიგებისა. მემარცხენე ბლოკის წრეებში ამავე დროს ცდილობენ დაამშვიდონ საბჭოთა კავშირი, და უნდათ დაუმტკიცონ საბჭოთა კავშირს, რომ საჭიროა თავი დაანებოს განკერძოებულ მდგომარეობას და შევიდეს ხალხთა ლიგაში.

პენლევეს, ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირი

პარიზი, 19 ოქტ. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ პარიზში შესდგა ბრიანის, პენლევეს და ჩემბერლენის თათბირი ლოკარნოს კონფერენციის დადგენილებებიდან გამომდინარე საკითხების შესახებ.

სოფლის ინტელიგენცია და პარტიული ორგანიზაციები

სოფლის ინტელიგენციის ჩაბმა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობაში პარტიის ერთი უმთავრეს ამოცანათაგანია.

ყველასათვის ცნობილია, რომ ერთ დროს ეს ინტელიგენცია გვებრძოდა.

მაგრამ შემდეგ მასში მოხდა პოლიტიკური გარდატეხა. მან პირი იბრუნა ჩვენსკენ. შესაძლებელი შეიქნა მისი ფართედ გამოყენება კულტურულ-ეკონომიურ საქმიანობაში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამხ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა კულტურულ-ტეხნიკური ძალების როლს სოციალიზმის შენების საქმეში. ის ამბობდა, რომ ეს ძალები უნდა ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომელშიაც ის არასდროს არ იმყოფებოდათ. ბელადის ეს ანდერძი მუდამ უნდა გვახსოვდეს. ის სავსებით უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ ღრმად შევიჭრათ სოფლად, გავაძლიეროთ იქ საბჭოთა და კულტურული მუშაობა—საჭიროა სოფლის ინტელიგენცია მთელი თავისი შესაძლებლობით ავამოძრაოთ.

მაგრამ როგორ და რა გზით? აქ აუცილებელია მტკიცეთ შევითვისოთ პარტიის ხაზი სოფლის ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხში.

სოფლის ინტელიგენციის მიმართ ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე; არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ახალი წესწყობილების განმტკიცებისათვის სოფლად სოფლის ინტელიგენციას; ჩვენი დღევანდელი კურსი გვავალებს სოფლის ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში ყოველგვარი ბრძანებლობის, უდიერი მოქცევის მოსპობას და ამხანაგურ, შეთანხმებულ თანამშრომლობას. არაფრად ვარგა ის კომუნისტი და არც ის კომკავშირელი, რომელიც ვერ გამონახავს საერთო თანამშრომლობის ენას პატიოსან უპარტიო ინტელიგენციასთან; სასტიკი და დაუზოგველი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ოდნავადაც გვერდს აუვლიან პარტიის ამ დირექტივას.

სამწუხაროთ, ზოგიერთი ჩვენი კორესპონდენტები ადგილებიდან იუწყებიან, რომ ხშირათ ინტელიგენციასთან საქმიანი კავშირის ატმოსფერა არ არსებობს. ეს უთუოდ ჩვენი მუშაობის დიდი ნაკლია მაშინ, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოფლის ინტელიგენციის უშუალო დახმარებით პარტიული ორგანიზაციები აცხოველებენ კულტურულ მუშაობას, მათივე საშუალებით ფართოვდება ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა, კედლის გაზეთის გამოცემის საქმე თავის ნორმალურ დონეზე დგება, ფართოდ იკიდებენ ფეხს სასოფლო-სამეურნეო წრეები და ქოხ - სამკითხველოები, რომლებსაც გლეხურ მასებში შეაქვთ ახალი ყოფა-ცხოვრება, ახალი ზნე-ჩვეულება.

მასწავლებლობა, აგრონომები, საერთოდ ადგილობრივი კულტურული ძალები ყოველმხრივ გამოყენებული უნდა იქნენ. პარტიულ ორგანიზაციებს და სოფლის ინტელიგენციას შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირი. ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ სოფლად მომუშავე პარტამხანაგებმა.

გარდა ამისა მათ არ უნდა გაუშვან მხედველობიდან შემდეგი გარემოება: რათა სოფლის ინტელიგენცია ჩავაბათ საზოგადოებრივ მუშაობაში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ იმ პროფესიონალურ კავშირებს, სადაც თავს იყრის ეს ინტელიგენცია (სახელდობრ: განათლების მუშაკთა კავშირი, ხე-ტყის მუშაკთა კავშირი, მედიკურ-სანიტარულ მუშაკთა კავშირი) პარტიული ორგანიზაციების მიერ მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. პროფესიონალური კავშირის იმ ადგილობრივი განყოფილებების მუშაობა გაცხოველებულ და გაძლიერებულ უნდა იქნეს.

ამასთანავე ჩვენ კარგად ვიცით ისიც, რომ ხშირად სოფლის ინტელიგენციის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩასაბმელად ხელშემშლელ მიზეზად გვევლინება მათი არა საკმაო პოლიტიკური მომზადება. რომ თავიდან აცილებული იქნას ეს ნაკლიც, საჭიროა მასწავლებლების, აგრონომების და სხვათა გადამზადება კურსების და წრეების დაარსებით. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივაც უნდა ითამაშონ დიდი როლი.

ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ საშუალებას მივცემთ სოფლის ინტელიგენციას თავისი წვლილი შეიტანოს ახალი ქვეყნის შენებაში.

შ. ა—ძე.

ფაშისტური ტერორი

ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების პროცესი.

პრაგა, 19 ოქტ. მესამეჯერ გადაიდო კომუნისტების—ილეკის, გოუზერის და სხვ. პროცესი. საქმის გადადების მიზეზია—ექსპერტების მიერ იმ ფაქტის აღიარება, რომ ბრალდებაში აღნიშნულ წერილების ავტორის ხელი უფრო წააგავს სოციალ-დემოკრატ შტეკლიკის ხელს, ვიდრე ილეკისას. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ პროცესი შეუწყვეტილია იმ მიზნით, რათა არჩევნების წინ სახელი არ გაუტყდეს ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ზოგიერთ გამოჩენილ ხელმძღვანელებს.

პოლონეთის „ოხრანკის" მუშაობა.

მინსკი, 19 ოქტ. ვილნოდან მიღებულია ცნობა, რომ პოლონეთის „ოხრანკა" შეუდგა მუშათა ორგანიზაციების დარბევას პოლონეთის განაპირა ოლქებში.

16 ოქტომბერს, ვილნოში მოხდა მასიური დაპატიმრებანი. ჟანდარმებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის განაპირა უბნებს. ოფიციალური ცნობების თანახმად დაპატიმრებულია მხოლოდ 150 კაცი. მაგრამ მცხოვრებთა შორის ლაპარაკობენ, რომ დაპატიმრებულთა რიცხვი აღწევს რამდენიმე ას კაცს, თუმცა „ოხრანკა" ირწმუნება, რომ დაპატიმრებული არიან მხოლოდ დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის ცეკას წევრები. ნამდვილად კი, გარდა კომუნისტებისა, დაპატიმრებული იქნენ „ბუნდის" წევრები და უპარტიო ბელორუსები. ებრაელთა მუშათა ორგანიზაცია დარბეულია. ამ ორგ ნიზაციების ხელმძღვანელები დაპატიმრებული არიან. ყველა დაპატიმრებულები სპეციალური მატარებლით გაგზავნეს ვილნოდან სადგ. ლანდვაროვოში, აქ ყველანი მოთავსებული იქნენ რკინისგზის დეპოში, რომელიც წინასწარ იქნა გადაკეთებული კონცენტრაციულ ბანაკად.

დაპატიმრებებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ვილნოს ახლო მდებარე დაბებსა და ლისნენის მაზრებში. დაპატიმრებული იქნენ არა მარტო კომუნისტები, კომკავშირელები, პოლონეთის დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის წევრები, არამედ აგრეთვე ბევრი ბაპტისტები და ბელორუსები. ვილნოში დაპატიმრებულთა შორის არიან ექიმი ვოლფი, ებრაელი მწერალი მაქს ერიკი და სხვ.

გროდნოში დაპატიმრებულია 200 ბელორუსი გლეხი. გროდნოს ყველა ბელორუსთა დაწესებულებებში მოხდენილია ჩხრეკა და დაპატიმრებული არიან პროფკავშირთა მრავალი მუშაკები. დაპატიმრების დროს პოლონეთის გაზეთების ცნობით, წაიღეს დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა ბელორუსიელ და ებრაელ ენაზე.

ებრაელმა დეპუტატებმა მიმართეს სეიმს მოთხოვნით დაიცვას დაპატიმრებულები წამებისაგან და მოახდინოს სწრაფი გამოძიება.

შეტაკება ფაშისტებთან.

ბერლინი, 19 ოქტ. ომის მონაწილეთა ნაციონალისტურმა გაერთიანებებმა, რომელთა ყრილობა ამჟამად მოწვეულია ლეიპციგში, გამართეს აღლუმი. ფაშისტების პროვოკაციულ მოქმედებას შედეგად მოჰყვა დემონსტრანტების შეტაკება ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირის წევრებთან. „ფოლადის მუზარადის" წევრებმა აუტეხეს სროლა და მძიმედ დასჭრეს 4 მუშა.

კომპარტიამ აღლუმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოაწყო 4 მასიური მიტინგი, რომელსაც დაესწრო აუარებელი მუშები.

ამხ. რაკოშის პროცესის გამო.

ვენა, 19 ოქტ. ბუდაპეშტის გაზეთი „აზ უჯშაგ" იტყობინება ოფიციალურ წყაროებიდან, რომ თუმცა არის საბუთები რომ რაკოში საგანგებო სასამართლოს გადასცეს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია საქმე საერთო წესით გაარჩიოს.



ამხ. ცოლტან რაკოში
უნგრეთის კომუნისტების ბელადი, რომელსაც საგანგებო სასამართლო გაასამართლებს.

საპროტესტო მიტინგი მოსკოვში.

მოსკოვი, 20 ოქტ. სახელმწიფო ცირკში შესდგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი 500 აჯანყებულ ბესარაბიელ გლეხის პროცესის წინააღმდეგ და მაქს გოლდშტეინის ხსოვნის აღსანიშნავად.

მიტინგი გაიხსნა დაღუპულ გოლდშტეინის ძმის გამოსვლით.

რუმინეთის კომპარტიის სახელით გამოვიდა რუმინეთის კომპარტიის ცეკას წევრი დობროჯიანუ.

ბულგარეთის კომპარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა დიმიტროვმა. კომინტერნის სახელით ილაპარაკა ბელა-კუნმა.

შემდეგ გამოვიდა რაკოვსკი, რომელმაც თავისი სიტყვის პირველი ნაწილი უძღვნა გოლდშტეინს.

კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბესარაბიელ გლეხების შევიწროების წინააღმდეგ და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მოლდავიის ავტონომიურ რესპუბლიკის ცაკს.



ა. ა. ვეინბერგერი
ახალგაზრდა კომუნისტი, რომელიც რაკოშისთან ერთად დააპატიმრეს.

რა ხდება ჩინეთში

საუბარი კანტონის არმიის მთავარსარდალთან

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. მოსკოვში ჩამოვიდა კანტონის არმიის მთავარსარდალი, გომინდანის პოლიტბიუროს წევრი, ხუ-ხან-მინი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მას სურს გაეცნოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და აგრეთვე შეისწავლოს ბოლშევიკების ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც საჭიროა ჩინეთისთვის ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის ხანაში.

ხუ-ხან-მინმა განაცხადა, რომ კანტონის დაცვა უზრუნველყოფილია, რადგან კანტონის არმია ძალიან კარგ მდგომარეობაშია.

შეეხო რა საბაჟო კონფერენციას ხუ-ხან-მინმა განაცხადა, რომ ეს კონფერენცია დადებით შედეგებს არ მოუტანს ჩინეთს.

ეხება რა კანტონის მდგომარეობას, ხუ ხან-მინი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური მდგომარეობა კანტონში მტკიცეა; მთელი ძალა-უფლება გომინდანის ხელშია. მუშები და გლეხები მხარს უჭერენ კანტონის მთავრობას.

ხუ-ხან-მინს განზრახული აქვს დარჩეს საბჭოთა კავშირში რამდენიმე თვე.

ნორვეგიის გემების დაკავება სვატოუში

პეკინი, 19 ოქტომბერი. ჩჟან-ძიუნ-მინმა ნავთსადგურ სვატოუში დააკავა ნორვეგიის ორი გემი. ამის გამო ნორვეგიის ელჩმა ორი საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. გემები ჯერ კიდევ სვატოუში დგანან.

ჩჟან-ძიუნ-მინის რეპრესიები

პეკინი, 19 ოქტომბერი. ჩინეთის პრესის ცნობით, ჩჟან-ძიუნ-მინი რეპრესიებს მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაფიცვაში და უცხოეთის საქონლის ბოიკოტში იმ დროს, როდესაც სვატოუ კანტონის მთავრობის ხელში იმყოფებოდა.

უკანასკნელ დღეებში, ჩჟან-ძიუნ-მინის განკარგულებით სიკვდილით დასჯილი იქნენ ბევრი მუშები და აგრეთვე სვატოუს ყოფილი ქალაქის თავი.

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიჟი, 19 ოქტომბერი. გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

ამხ. სემარის მოხსენება

კონფერენციის პირველ სხდომაზე სემარმა გააკეთა მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა დაასურათა სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების მდგომარეობა ლოკარნოს და ვაშინგტონის კონფერენციების შემდეგ. მან ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის შედგენას და აღნიშნა, რომ ინგლისის კაპიტალიზმის გავლენამ გადააჭარბა საფრანგეთისას. საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა უიმედოა. საფრანგეთი, ალბად, მიიღებს ვაშინგტონში გამომუშავებულ შეთანხმებას ამერიკაში აღებული ვალების მოწესრიგების შესახებ, რაც კიდევ უფრო გააუარესებს პროლეტარიატის მდგომარეობას. პროლეტარიატმა შეთანხმების მიღებაზე უნდა უპასუხოს 8 საათის სამუშაო დღის შემოღების და ხელფასის გადიდების მოთხოვნით.

სემარმა აღნიშნა, რომ მაროკოს ომის წინააღმდეგ 24 საათის საპროტესტო გაფიცვა იყო პირველი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა საფრანგეთში.

სალამი კომინტერნს

სემარის მოხსენების გამო გამართულ კამათის შემდეგ ჯარში გაწვეულთა სახელით გამოდის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი, რომელიც ესალმება მესამე ინტერნაციონალს და სთხოვს კომპარტიას დახმარება გაუწიოს ჯარში ახლად გაწვეულ მუშებს.

მისალმებები

ინგლისის კომპარტიის დელეგატი აცხადებს, რომ ინგლისის მუშები თანაგრძნობას უცხადებენ ფრანგ ამხანაგებს და აღნიშნავს, რომ ინგლისის კაპიტალიზმის დაცემასთან ერთად იზრდება ინგლისელ მუშებში რევოლიუციონური განწყობილება.

რა უნდა გააკეთოს კომპარტიამ

პარიჟი, 19 ოქტ. საფრანგეთის კომპარტიის პარიზის რაიონის კონფერენციაზე გამოვიდა ბელგიის კომპარტიის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დაბრკოლებები ელოდება ბელგიის პარტიას წინ, რომელიც ცდილობს ბელგიის შრომის კონფედერაციაში შექმნას მემარცხენე ფრთა. ჰოლანდიის კომპარტიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობა ჰოლანდიის პროფკავშირებში ხელს უშლის კომპარტიის ზრდას. შემდეგ გამოვიდა სემარი, რომელიც იცავდა ცეკას ხაზს. სემარმა მიუთითა, რომ ცეკამ კონფერენციას არ წარმოუდგინა მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ეს მოხსენება ამ ახლო მომავალში წარდგენილ იქნება პარტიის ყრილობაზე. ცეკა არასოდეს არ ამეტებდა საერთო გაფიცვის მნიშვნელობას და ფაშიზმის საშიშროებას. შემდეგ გამოვიდა ამხ. ტრენი, რომელმაც დაახასიათა კომუნისტების დამოკიდებულება ომთან, და განაცხადა, რომ მშრომელები თავისი ბურჟუაზიის მიმართ უნდა იყვნენ დამარცხების მომხრენი და ცდილობდნენ იმპერიალისტური ომი გადააქციონ სამოქალაქო ომათ. სხვადასხვა ოლქების წარმომადგენელნი კამათის დროს მიუთითებდნენ, თუ რა გზით უნდა აწარმოონ საერთოდ ომის საწინააღმდეგო კამპანია და კერძოთ კი გლეხებში. ტრენმა თავის რეზიუმეში კამათის შესახებ განაცხადა, რომ კომუნისტურმა პარტიამ ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს ომის წინააღმდეგ.

„სალდათის კაპიკის" კავშირი.

პარიჟი, 19 ოქტ. რამოდენიმე ათასმა ახლადგაწვეულ პარიზის ოლქის სალდათებმა თავის კრებაზე გადასწყვიტეს განაახლონ კავშირი, რომელმაც ხელი შეუწყო მუშების წრეებიდან სალდათების გაერთიანებას. ეს კავშირი ცნობილია სახელწოდებით „სალდათის კაპიკი". კრებამ დაავალა კომკავშირს ცხოვრებაში გაატაროს ეს დადგენილება.

გერმანიის ამბები

გერმანიის დელეგაციის შეხვედრა ბერლინში

ბერლინი, 19 ოქტ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ გერმანიის დელეგაცია ლოკარნოდან დაბრუნდა ბერლინში. სადგურში დელეგაციას შეხვდენ შრომის მინისტრი ბრაუნსი, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიის დიპლომატიური წარმომადგენლები და სხვ.

ინგლისის ელჩმა მიმართა ლიუტერს და შტრეზემანს შემდეგი მისასალმებელი სიტყვით: „მე მივიღე ჩემბერლენისაგან სპეციალური დავალება მოგილოცოთ თქვენ ლოკარნოს კონფერენციის წარმატებით დამთავრება და გადმოგცეთ, რომ ჩემბერლენი ყოველთვის სიხარულით მოიგონებს პირველ შეხვედრას თქვენთან ლოკარნოში და იმ გულწრფელობას და გულახდილობას, რომელიც სუფევდა კონფერენციაზე. წაუშლელი იქნება გერმანიის მთავრობის ღვაწლი, რომ მან ითავა იმ მოლაპარაკების დაწყება, რომელმაც მიგვიყვანა ლოკარნოს ხელშეკრულების დადებამდე".

ლიუტერმა და შტრეზემანმა მადლობა გადაუხადეს ელჩს და სთხოვეს მას გადასცეს მათი მადლობა ჩემბერლენს.

მაკდონალდის განცხადება

ვენა, 19 ოქტ. ბუდაპესტში მყოფ მაკდონალდმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან არაფერი არ იცის რაკოშის მიერ შეთქმულების მოწყობის შესახებ. შემდეგ შეეხო ინგლისის კომუნისტების მოქმედებას და განაცხადა, რომ მათ იქაც უნდოდათ არეულობის გამოწვევა, მაგრამ უშედეგოთ. შემდეგ შეეხო ლოკარნოს კონფერენციას და აღნიშნა, რომ ლოკარნოს შეთანხმება მშვიდობიანობას ემსახურებაო. დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის შესვლას ხალხთა ლიგაში, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საერთო მშვიდობიანობა.

შვეიცარიის კომპარტიის პროტესტი

ბერლინი, 19 ოქტ. შვეიცარიის კომპარტიამ მოაწყო ბაზელში საპროტესტო მიტინგი თეთრი ტერორის და იმ სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც ქმნის ლოკარნოს ხელშეკრულება.

ტელეგრაფის ადმინისტრაციამ ბაზელში მიიღო ბრძანება, რომ კომპარტიის საპროტესტო დეპეშები გაიგზავნოს მხოლოდ ცენზურაში გატარების შემდეგ. ცენზურის შემოღება დეპეშებზე წარმოადგენს რეპრესიების დასაწყისს კომპარტიის მიმართ შვეიცარიის პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

ომი მაროკოში

ლონდონი, 19 ოქტ. „დეილი ექსპრესის" სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც რიფების ბანაკში იყო, იტყობინება, რომ ალჟირის ევაკუაციის დროს საფრანგეთ-ესპანეთის დესანტის შეტევას რიფების 7 კაცისგან შემდგარი რაზმი აკავებდაო.

მონღოლეთის ქალთა კონფერენცია

ულან-ბატორი, 19 ოქტომბერი. მონღოლეთში გაიხსნა უპარტიო ქალთა პირველი კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 140 დელეგატი ქალი.

კონფერენციამ გაუგზავნა კომინტერნის ქალთა სამდივნოს მისალმების დეპეშა.

ქარიშხალი შავ-ზღვაზე

ოდესა, 20 ოქტომბერი. შავ-ზღვაზე ოსმალეთის ნაპირებთან მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი.

„ჩირაღდანი"
იუმორისტული განყოფილებით
„ეშმაკის მახე"
იბეჭდება და ოქტომბრის 23-ს დაურიგდება
„კომუნისტი"-ს ყველა ხელისმომწერლებს
„მეცნიერება და ტეხნიკა"-ს
მორიგი №
გამოვა ოქტომბრის 31-ს

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მუდმივი გამოფენების კომიტეტი სამხატვრო მეცნიერებათა აკადემიასთან.

მოსკოვი, 20 ოქტ. სახ. განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაარსოს სამხატვრო აკადემიასთან მუდმივი გამოფენის კომიტეტი ლუნაჩარსკის ხელმძღვანელობით.

კინო სოფლისათვის.

მოსკოვი, 20 ოქტ. რ. კ. პ. ცეკას კინოკომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი სოფლად კინოს მოწყობის შესახებ.

კინო-კომისიამ მოიწონა ყველა ღონისძიებანი კინოს მოწყობის, ტარიფის დაკლების და სოფლისათვის კინო-სურათების გაქირავების საქმეში და დაავალა „სოვკინო"-ს დააჩქაროს სოფლის სურათების ფონდის შევსება.

აეროპლანის დაზიანება

სარატოვი, 20 ოქტ. „ავიაქიმის" აეროპლანს „პირი სოფლისაკენ" ულიანოვსკში გადაფრენის დროს დაუზიანდა ფრთა. კაცის მსხვერპლი არ ყოფილა.

აეროპლანის დამტვრევა

სტავროპოლ-კავკაზსკი, 20 ოქტ. აეროპლანი „მოსსოვეტ" დაიმტვრა სოფელ ალექსანდროვსკში.

მფრინავი და მექანიკოსი უვნებლად გადარჩენ, მგზავრები დაშავდენ.

გლეხების მიწვევა ოქტომბრის ზეიმზე

ლენინგრადი, 20 ოქტ. ოქტომბრის ზეიმზე ლენინგრადში მოწვეულია ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქის მიყრუებულ სოფლებიდან 300 გლეხი, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან ლენინგრადში.

კალსვაცის ჩამოფრენა

ლენინგრადი, 20 ოქტ. 19 ოქტომბერს გუტუევსკის ჰაეროდრომზე უვნებლად დაეშვა პეტროზავოდსკიდან გადმოფრენილი ჰიდროპლანი მფრინავ კალსვაცის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ჩრდილოეთის ჰიდროგრაფიულ ექსპედიციაში ახალ მიწაზე.

მეორე ჰიდროპლანი მფრინავ ჩუხნოვსკის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ არხანგელსკში იმყოფება, დაზიანებულ მატორის შეკეთებამდე.

ინჟ. მოშკოვიჩის გამოგონება

ლენინგრადი, 20 ოქტ. მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიას განზრახული აქვს დაუკვეთოს ტრესტს „ელექტროსვიაზ" ინჟინერ მოშკოვიჩის მიერ გამოგონებული ხელსაწყო, რომლის საშვალებით შესაძლებელი იქნება ნევაზე წყალის ადიდების მოახლოვების წინასწარ გაგება.

ფეიქართა კავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 20 ოქტ. ფეიქართა კავშირის ცეკას პლენუმმა სურვილი გამოსთქვა, რათა ახალი ფაბრიკების აგების დროს სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშების უზრუნველყოფას ბინებით. ანარიცხი მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის გადიდებული უნდა იქნეს წმინდა მოგებიდან 30 პროცენტამდე.

პლენუმმა საჭიროდ-სცნო სამუშაო ხელფასის გადიდება მომავალში კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს, აგრეთვე პროფკავშირთა დემოკრატიის სისწორით გატარება და სამეურნეო გადახრის აღმოფხვრა ზოგიერთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში.

რუსეთის ცაკის მეორე სესია

მოსკოვი, 20 ოქტ. 19 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესიის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი იუსტიციის სახ. კომისარის კურსკის მოხსენების გამო—ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის კანონპროექტის შესახებ.

წარმომადგენლები ადგილებიდან აღნიშნავდენ, რომ კანონპროექტი საკმარისად არ არის დამუშავებული, მისი მიღება უნდა გადაიდოს შემდეგ სესიამდე. პროექტი ეხება ისეთ რთულ საკითხებს, როგორც სამეურნეო ურთიერთობას და სხვას. ამიტომ კანონის დამუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პრესამ, ქალთა სადელეგაციო კრებებმა და სხვ.

კურსკის შესაძლებლად მიაჩნია ქორწინების კანონის მიღება გადაიდოს შემდეგ სესიამდე, მაგრამ მისი აზრით საჭიროა კამათის გაგრძელება, რათა მოსმენილი იქნას ადგილების წარმომადგენლების აზრები.

კურსკის სიტყვის შემდეგ გამოვიდენ კიდევ ბევრი ორატორები.

შემდეგ სესიამ მოისმინა კურსკის საბოლოო სიტყვა, დაადგინა კანონი ქორწინების, ოჯახის და მზრუნველობის შესახებ მიღებული იქნას საფუძვლად, ხოლო მისი საბოლოოთ მიღება მოხდეს ცაკის შემდეგ სესიაზე.

ა.-კ. ფედერაციაში

საქართველო

ინგლისელი მეზღვაურები ახალ სენაკში.

ახალ-სენაკი, 20 ოქტ. 18 ოქტომბერს ახალ-სენაკში ჩამოვიდა ინგლისელ მეზღვაურების ერთი ჯგუფი, რომელსაც პროფკავშირები საზეიმოდ შეხვდენ მუშათა კლუბში. ერთერთმა მეზღვაურმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს ნახვამ დაარწმუნა ისინი, რომ ის ცნობები, რომლებიც ვრცელდება ინგლისში საბჭოთა კავშირის შესახებ, ცილისწამებას წარმოადგენს.

სიმინდის ტეხა.

ახალ-სენაკი, 20 ოქტ. უკანასკნელ დროს გახშირდა წვიმები, რაც ძალიან აფერხებს სიმინდის ტეხას. ტეხა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ქალაქის ქუჩების შეკეთება.

ახალ-სენაკი, 20 ოქტ. ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ქალაქის ქუჩების შესაკეთებლად 15,000 მანეთის რაოდენობით.

ლტოლვილ სომხების ჩამოსვლა

ბათომი, 19 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან მოვიდა გემი, რომელსაც მოჰყავს საბერძნეთიდან 1,380 ლტოლვილი სომეხი, მათ შორის 300 ობოლი ბავშვი. ლტოლვილები იგზავნებიან სომხეთში, მათ გადასაყვანათ უკვე გამზადებულია 50 რონოდა.

აზერბეიჯანი

კატასტროფა ზღვაზე

ბაქო, 20 ოქტ. 18 ოქტომბერს ჩაძირული იქნენ ზღვაში მოტორიანი ნავები (კატერები). ზღვაში მათ მოუსწრო ქარიშხალმა. ერთი კატერი გადაბრუნდა. კატერში იჯდა 12 მეზღვაური, მათ შორის ნაღმოსანი „მარკინი"-ს კომანდირი კრაევსკი. კრაევსკი დაიხრჩო, 4 კაცი გადაარჩინეს, 7 კაცის ბედი ჯერ არ არის გამორკვეული.

გრიგალი

ბაქო, 20 ოქტ. 19 ოქტომბერს მთელი ღამე ზღვაში საშინელი ქარიშხალი იყო.

მოგზაური ქსავერი ზეიდლერი

ბაქო, 20 ოქტ. ბაქოში ჩამოვიდა გერმანელ მოგზაურთა კლუბის წევრი ქსავერი ზეიდლერი, რომელმაც ფეხით უნდა შემოიაროს დედა-მიწის გარშემო. ზეიდლერმა დაათვალიერა სამრეწველო და გაეცნო მთელ რიგ ორგანიზაციების მუშაობას. მისი სიტყვით ყველაფერმა ნახულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე... მე მარწმუნებდენ, განაცხადა მან, რომ საბჭოთა კავშირში სიმშილობა, გაჭირვება და კომუნისტების ძალადობაა, მაგრამ აქ ვნახე სულ სხვა რამე.

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

მეორე სხდომა

პროფსაბჭოს კომფრაქციის მოხსენების გარშემო

მეორე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, სათანადო რეზოლიუციის პროექტის შესამუშავებლათ, არჩეული იქნა კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **ყურულაშვილი, ფანცხავა, მელაძე, სტურუა, გ., სვანიძე, ჟვანია, ტყაბლაძე, ურუშაძე, მაჩკევიჩი, ბენო კალანდაძე.**

საბჭოთა არჩევნები

საბჭოების მომავალი გადარჩევის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მათიკაშვილი. ვრცელი კამათისა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა, რეზოლიუციის შესამუშავებლათ, კომისია, რომელშიც შედიან: **მათიკაშვილი, ქურდაძე, რატნეკი, სტურუა, გ., კავთარაძე, ლორთქიფანიძე.**

პარტიული ყრილობა

პლენუმმა ერთხმად მიიღო ცეკას პრეზიდიუმის წინადადება პარტყრილობის მოწვევის შესახებ პირველ დეკემბერს. პრეზიდიუმისავე წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული

ყრილობის დღის წესრიგი

1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში;
2. სარევიზიო კომისიის „
3. საკონტროლო კომისიის „
4. საქართველოს მრეწველობა და მისი პერსპექტივები;
5. მუშაობა სოფლად და საბჭოთა ქვედა აპარატის გადარჩევა;
6. არჩევნები

მესამე სხდომა გაიხსნება დღეს ექვს საათზე. მორიგი გასარჩევი საკითხი შეეხება ბიუჯეტს.

ზოგიერთ მტკივნეულ საკითხის გამო

ამ ბოლო დროს თითქმის მასიურ მოვლენად გადაიქცა, რომ ამა და ამ დანიშნულ საათზე პარტიული უჯრედის სხდომას არ დაესწროთ. განსაზღვრულ დროს უეჭველად უნდა გადავაცილოთ და სხდომაზე მისვლაც დავაგვიანოთ. ერთი სიტყვით, დაგვიანება დღეს ხშირი სტუმარია.

ამ მავნე სენს ბოლო უნდა მოუღოთ. უჯრედების ბიუროებს მართებთ, რომ ამას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. პარტიის თვითეულმა წევრმაც კარგად უნდა დაიხსოვნოს, რომ სხდომებზე თავის დროზე დასწრება, დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლა—პარტდისციპლინის ერთ-ერთი მხარეა, რომელსაც პირნათლად უნდა ვასრულებდეთ და ცხოვრებაში ვატარებდეთ.

აქ საჭიროთ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ შევჩერდეთ პარტიული მოვალეობების სწორად განაწილების, ანუ პარტგანტვირთვის საკითხზე. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ უჯრედებში წევრთა შორის არ არსებობს თანაბარი შრომის განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის უმაღლეს ორგანოების მიერ მრავალი დადგენილებებია გამოტანილი ამის შესახებ, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკულად გადაჭრილი. ხშირად ამხანაგების განსაზღვრული რიცხვი ზომაზე მეტად დატვირთულია პარტმუშაობით და ეს იმ დროს, როდესაც ამხანაგების საგრძნობი ნაწილი ასეთისაგან სრულიად განთავისუფლებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში შედარებით ნაკლებათ დატვირთულია. დროა, ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად მივიღოთ სათანადო ზომები. თუ ჩვენ გვინდა ავამაღლოთ უჯრედების მასიური აქტივობა და ამ უჯრედებში გამოვაცხოველოთ პარტიული მუშაობა—აუცილებლივ უნდა მოვაგვაროთ პარტგანტვირთვის საქმე.

ორიოდე სიტყვა საშეფო მუშაობაზე. ქალაქად, როგორც ვიცით, ყველგან პარტუჯრედებთან დაარსებულია საშეფო კომისიები, რომლებსაც შეფობის ქვეშ ჰყავთ მივარდნილი და ჩამორჩენილი სოფლები. ამ საშეფო კომისიებს სოფლებისათვის კულტურულ დახმარების, კოოპერატივის, გლეხკომების, „რემედას"-ის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების დაარსების და განვითარების საქმეში—დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. მაგრამ, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავაღრმავოთ მუშაობა, საჭიროა საშეფო მუშაობაში ჩავაბათ წარმოების თუ დაწესებულებების მუშამოსამსახურეთა ფართო მასებიც. საშეფო მუშაობას უნდა მივცეთ მასიური ხასიათი. დღემდე კი ამ მხრივ მოვისუსტებთ.

პარტუჯრედებმა ამ ნაკლის დასაძლევად უნდა წარმართონ თავისი მუშაობაც.

ც—ლა.

წერილებიდან

ზედა რგანი.

(ჭიათურის რაიონი).

ახალი უჯრედის დაარსება.

ამას წინად შორაპნის სამაზრო პარტკომის მიერ დაარსებული იქნა ზედა რგანის შავი-ქვის მაღაროების მუშური კომუჯრედი. ეს უჯრედი დღეს-დღეობით აერთიანებს 11 წევრს და 6 კანდიდატს. მუშაობა უჯრედში კარგად მიმდინარეობს, სხდომები იმართება სისტემატიურად, სხდომების დღის წესრიგში ისმება საჭირბოროტო საკითხები, სწარმოებს პოლიტმეცადინეობაც და სხვა. კომუჯრედის სხდომები შემდეგნაირადაა განაწილებული: თვეში ერთხელ ეწყობა დახურული კრება, ერთხელ გაერთიანებული ა. ლ. კ. კ. უჯრედთან და ერთიც ღია კრება უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა თანადასწრებით.

პარტიულებს და უპარტიოებს შორის კარგი დამოკიდებულება სუფევს. პოლიტიკური მომზადების მხრივ უჯრედი თავისი დანიშნულების სიმაღლეზე სდგას. უჯრედის თვითეულ წევრს გამოწერილი აქვს ჟურნალ-გაზეთები.

პარტიისაკენ ლტოლვა დიდია. უპარტიოებს შემოაქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. უჯრედმა ამას უნდა უპასუხოს. უპარტიო ამხანაგების საუკეთესო ნაწილი უნდა დავრაზმოთ პარტიის რიგებში. ამ შემთხვევაში საჭიროა საპარტკომის უშუალო ხელმძღვანელობა.

ვარ. კაპანაძე.

თბილისი

ჩვენი უჯრედი

16 ოქტომბერს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში შესდგა ადგილობრივი კომუჯრედის მორიგი სხდომა, რომელსაც უნდა გაერჩია ამხ. გ. სტურუას მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ, რომელიც მან გააკეთა ქალაქის რაიონის უჯრედების ბიუროების კონფერენციაზე. რომ ამ მოხსენების გარჩევას გამოელო უფრო მეტი ნაყოფი, უჯრედმა საჭიროდ სცნო გამოეყო სპეციალური ამხანაგი, რომელიც შეისწავლის ამ მოხსენებას და მორიგ კრებას გააცნობს მის შინაარს.

აქ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ კომუჯრედთა ბიუროების წევრთა კონფერენციას ჩვენი ბიუროს არც ერთი წევრი არ დასწრებია. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ამ კონფერენციის მოწვევის დღეს შესდგა ჩვენი სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. მომავალში უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონდეს.

ყ—ნი.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის ყველა რაიკომებსა და თემის კომიტეტებს

ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავის დღესასწაულის შესახებ

ახლოვდება ოქტომბრის რევოლიუციის მე-8-ე წლისთავის დღესასწაული.

ეხლავე უნდა შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას დღესასწაულის ჩატარებისათვის.

მთელი კამპანიის კარგად ჩატარება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მოსამზადებელ მუშაობის ტემპზე. როგორც წარსული წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, ამ დღესასწაულების ჩატარებაში შემჩნეული მთავარი ნაკლი იყო დღესასწაულის ნაჩქარევად ჩატარების შედეგი.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-8 წლის თავის დღესასწაულის შინაარსს უნდა შეადგენდეს:

1. საბჭოთა კავშირის, კერძოთ ამიერ-კავკასიის და საქართველოს, სამეურნეო ზრდა. სამეურნეო ცხოვრების საკითხების გაშუქებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მთელი კამპანიის დროს.

ამ საკითხის გაშუქების დროს უნდა შეეხონ: სასოფლო მეურნეობის აღორძინებას, სახელმწიფო მრეწველობის გაფართოვებას, საგარეო ვაჭრობის ზრდას, საფინანსო და საბიუჯეტო მიღწევებს, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის გადიდებას, კოოპერაციის განვითარებას და სხვა.

სახალხო მეურნეობის დარგში ჩვენი მიღწევების გაშუქების დროს ერთი აზრი უნდა იყოს დასახული მთელ კამპანიაში. ეს ის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა სამეურნეო ფრონტზე მიმდინარეობს და ვითარდება გეგმის მიხედვით, რომ „ჩვენ წარმატებით დავიწყეთ გეგმიანი მსვლელობა ჩვენი მიზნისაკენ—სოციალიზმისაკენ", რომ „ჩვენი სამეურნეო ზრდის ყველა ნაკადულები სწრაფათ ერთდებიან ერთ ზღვას, რომელსაც ჰქვიან გეგმიანი, სოციალისტური მეურნეობა".

2. საბჭოების მუშაობის გაძლიერება და განმტკიცება, ქვეყნის საერთო პოლიტიკური და საერთო მოღონიერების ნიადაგზე.

3. მუშათა კლასის და გლეხობის ნივთიერ და კულტურულ დონის ამაღლება. მთელი საბჭოთა კავშირის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს, მიღწევები კულტურულ ფრონტზე.

4. მასების პოლიტიკური სოლიდარობის და თვითმოქმედების ზრდა მშრომელთა ფართო მასების ნივთიერ კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად. ეს თვითმოქმედება მუშათა კლასში გამოიხატება მასიურ ლტოლვაში პარტიისაკენ, ფართო წრეებში მუშათა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის გაძლიერებაში და სხვა. სოფლებში კი ის გამოიხატება ფართო ფენების ლტოლვაში მიიღონ მონაწილეობა აღმშენებლობითი მუშაობაში.

ამ საკითხის გაშუქების დროს უნდა აღინიშნოს ორი ფრიად საყურადღებო კამპანიის შედეგები:

ა) საბჭოების მუშაობის გაცხოველება.

ბ) პროფკავშირთა მუშაობის გაცხოველება.

5. ყურადღება სოფელს.

6. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, მსოფლიო პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი, პროფმოძრაობის მთლიანობა, ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში.

7. 1905 წ. რევოლიუციის 20 წლისთავის მოახლოვება. ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავის მთელი დღესასწაული უნდა იქნეს გამსჭვალული ერთი ძირითადი აზრით—ილიჩის ანდერძის შესრულების შესახებ (ლენინი და ოქტომბერი).

პარტიის თბილისის კომიტეტის და საქალაქო სამაზრო კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმა ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავის ჩატარების შესახებ შემდეგია;

1. პარასკევს, 6 ნოემბერს, საღამოს სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეული უნდა იქნეს თბილისის საბჭოს პლენუმი, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავის აღსანიშნავად.

2. შაბათს, შვიდ ნოემბერს, დილით ეწყობა:

ა) მუშათა საქალაქო დემონსტრაცია; ამ დემონსტრაციამ უნდა ნათელჰყოს თბილისის მუშათა კლასის მიღწევები სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე. დემონსტრაციაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თბილისის მაზრის გლეხობამაც.

ბ) წითელი არმიის პარადი.

საღამოს უფასო წარმოდგენები თეატრებში, კლუბებში, უფასო კინო.

3. კვირას, 8 ნოემბერს, ქალაქში საბავშვო დილები თეატრებში, კლუბებში და სხვა; ფიზკულტურის გამოსვლა. საღამოს—წარმოდგენები კლუბებში, ოქტომბრის რევოლიუციისადმი მიძღვნილი.

მაზრაში უნდა იქნეს მოწვეული თემის და სასოფლო საბჭოების პლენუმი, გლეხთა ფართო მასების მონაწილეობით, ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავის აღსანიშნავად.

კვირას, 8 ნოემბერს, ყველა შეფები მიდიან თავის საშეფო რაიონებში. წინასწარ ისინი აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს დღესასწაულებისათვის მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იღებს მხედველობაში ზემოაღნიშნულს და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ადგილობრივი კომისიების დაარსებას მაზრაში თემის აღმასკომებთან. ამ კომისიებში უნდა მიიღონ მონაწილეობა პარტიის სათემო კომიტეტის, ა. ლ. კომკავშირის და პოლიტგანის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ქალთა ორგანიზატორებმა. კომისიის შემადგენლობაში უნდა მიიწვიონ სოფლის ინტელიგენციის, უპარტიო გლეხების წარმომადგენლები. ქალაქში კომისიები უნდა დაარსდენ პარტიის რაიკომებთან, სათანადო ორგანიზაციების და უპარტიო მუშების მონაწილეობით.

ფაბრიკებში, ქარხნებში და წარმოებებში, აგრეთვე კლუბებში უნდა დაარსდეს ტეხნიკური კომისიები ოქტომბრის დღესასწაულის მოსამზადებლად. კომისიები მუშაობას ეხლავე უნდა შეუდგენ.

ყველა საჭირო მასალები, ლოზუნგები და სხვა დამატებით დაიგზავნება ადგილებში.

თბილისის კომიტეტის მდივანი
ასრიბეკოვი.
აგიტპროპ. განყოფილების გამგის
მოადგილე **პაპავა.**

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება

ოქტომბრის რევოლიუციის მე 8-ე წლისთავის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომთან მოეწყოს ქ. თბილისში და მის მაზრაში ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით.

1. სუხიშვილი ლადო (თავმჯდომარე), 2. ივანოვ-კავკასიელი, 3. ასრიბეკოვი, 4. კიდაიშ, 5. პაპავა, 6. ბლიუმ-ზაკი, 7. ბუჩიკაშვილი, 8. არუთინოვი, 9. მდივანი, 10 პოლქვაძე ირადიონ, 11. გველესიანი ი. ი. 12. ბურზაკიძე ე, 13. ენუქიძე.

მაზრაში წინადადება ეძლევათ თემის აღმასკომებს დაუყოვნებლივ შეადგინონ კომისია ოქტომბრის ზეიმის ჩასატარებლად შემდეგი შემადგენლობით: 1) სათემო აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), 2) საქართველოს კომპარტიის თემის კომიტეტის მდივანი, 3) კომკავშირის წარმომადგენელი, 4) ქალთა ორგანიზატორი, 5) ქოხ-სამკითხველოს გამგე, 6) ადგილობრივ ინტელიგენციის წარმომადგენელი და 7) უპარტიო გლეხთა წარმომადგენელი.

კომისიას წინადადება ეძლევა სასწრაფოდ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას დღესასწაულის ჩასატარებლად და ზეიმის მოსაწყობად საერთო დირექტივების მიხედვით.

თავმჯდომარე **სუხიშვილი**
მდივანი **ცქიტიშვილი**

ეკონომიური ცხოვრება

სიმინდის გასატანად უცხოეთში

ვინაიდან ამ უახლოეს წლებში სიმინდის ექსპორტი მიაღწევს ომის წინა დროინდელ დონეს, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო ამუშავებს პროექტს, რომლის მიხედვით ფოთის ნავთსადგური მოწყობილი უნდა იქნეს ახალი დამტვირთავი და განმტვირთავი მანქანებით, ელევატორებით და საწყობებით. ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების მთავარი ინჟინერის ხარჯთაღრიცხვით, პირველ ვარიანტის მიხედვით, ფოთის ნავთსადგურის მოწყობა დაჯდება 270.000 მანეთი, თუ საწყობები ხის მასალიდან იქნება გაკეთებული, იმ შემთხვევაში, თუ საწყობები აშენდება რკინა-ბეტონისაგან, ნავთსადგურის მოწყობა დაჯდება 410.000 მანეთი. განზრახულია ფოთის ნავთსადგურის გადასაკეთებლად დახარჯულ იქნეს სამეურნეო აღორძინების სესხის განაღდებიდან შემოსული თანხის ნაწილი.

ფართალი ამიერ-კავკასიისთვის.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა „ზაკსოიუზ"-მა ოქტომბრის განმავლობაში უნდა მიიღოს 20 ვაგონი მანუფაქტურა. აქედან ნახევარზე მეტი მიღებულია. დანარჩენი კი მიღებული იქნება ამ ერთ კვირაში. ფართალი პროვინციებში, კოოპერატივებს შორის გასანაწილებლად, დაურიგდებათ რესპუბლიკების კოოპერატივთა კავშირებს.

ჭიათურის კონცესია

შავი ქვის ექსპორტის პერსპექტივები

ამერიკაში გაიგზავნა 550.000 ტონა შავი ქვა.—შავი ქვის კრიზისი ევროპაში.—ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში ამერიკაში გაიგზავნება 120.000 ტონა მარგანეცი.

საქციონერო საზოგადოება „საქართველოს შავი ქვა"-მ მიიღო ჰარიმანის მიერ ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი დეპეშა; რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოების პირველი მსხვილი გარიგება შავ ქვაზე—550.000 ტონის (ტონა უდრის 62 ფ.) რაოდენობით, შესრულებულია.

შავი ქვის ეს რაოდენობა გაგზავნილია განსაკუთრებით ამერიკის მრეწველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

აღნიშნული რაოდენობა აღემატება საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირველი წლის ჩაზარების მინიმუმს (300.000 ტონა) 70 პროცენტით, რაც ცხად ჰყოფს იმას, რომ ჩვენმა მარგანეცმა ამერიკაში ბაზარი მოიპოვა.

ამასთან ერთად არის ცნობები, რომ ევროპაში ადგილი აქვს შავი ქვის ნაკლებობას, რის გამო მოსალოდნელია ევროპაში შავი ქვის გატანა—450,000 ტონის რაოდენობით ყოველ წლიურად.

ამერიკიდან მოთხოვნილია კიდევ ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში—100.000 ტონა გარეცხილი და 20.000 ტონა ჩვეულებრივი მარგანეცი.

ამ საკითხის შესახებ გუშინ შესდგა საქც. საზოგადოება „საქართველოს შავი ქვა"-ს თათბირი, რომელსაც დაესწრენ: საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი **რასკოვიჩი**, საქართველოს შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე მოქ. ა. **ჯაყელი** და ამერიკიდან ახლად ჩამოსული ინჟენერი—ბ-ნი **უიერი** და სამთო ინჟ. ბ-ნი **რიკერი**.

თათბირმა შესაძლებლად სცნო მარგანეცის ამ რაოდენობის გატანა აღნიშნულ პერიოდში, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ეს ოპერაცია გამოიწვევს ეხლა არსებულ ქარხნების მაქსიმალურად დატვირთვას.

შავი ქვის განტვირთვის საქმე ფოთში

ა.—კ. რკინის გზათა სამმართველოს კომმერციულმა განყოფილებამ გამოიკვლია საკითხი, თუ რა მდგომარეობაში არის ამ ჟამად ვაგონების საზოგადოება „ქართული მარგანეცი"-ს შავი ქვისგან განტვირთვის საქმე. საზოგადოება „ქართულ მარგანეცი"-ს ვაგონების განტვირთვის ვადათ მიცემული აქვთ 4 საათის დრო. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოება „ქართული მარგანეცი"-ს მუშებმა უნდა მოასწრონ როგორც ვაგონების განტვირთვა, ისე გემების დატვირთვა.

4 საათის განმავლობაში სწარმოებს სულ 8 ბაქანის განტვირთვა. როგორც გამოკვლევით და გავტვირთვაზე მომუშავე მუშების დაკითხვით გამოირკვა, 4 საათის განმავლობაში მუშა ხელის არსებული რაოდენობით შესაძლებელია 80 ვაგონის განტვირთვა. 8 ვაგონის შავი ქვისგან დაცლას კი სჭირდება მხოლოდ 30—40 წამი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ საზოგ. „ქართული მარგანეცი" ერთდროულად აწარმოებს ხან ორი, ხან კი ოთხი დატვირთული ვაგონ-ბაქანის განტვირთვას, ეს მაშინ, როცა მას შეუძლია ერთ და იმავე დროს დაუყოვნებლივ დააცალიეროს-განტვირთოს 8-ვე ბაქანი. ყველაფერი ეს იწვევს გზებზე, სადგურებზე ვაგონების ხანგრძლივ და უნაყოფო შეჩერებას. მოხსენებაში, სადაც დაგროვილია გამოკვლევის მასალები, აღნიშნავს, რომ იმ უბანში, სადაც ვაგონ-ბაქანის დაცალიერება სწარმოებს, მოსახერხებელია 20 ვაგონის დგომა-შეჩერება. საზ. „ქართული მარგანეცის" მიერ, მთელი ეს უბანი დანაწილებულია პატარა უბნებად, რომელთაგან თვითეული უბანი იტევს 5—6 ვაგონს. შემდეგ მოხსენებაში დახასიათებულია ვაგონების შავი-ქვისგან განტვირთვის წესები, რომელიც შემოღებული აქვს საზ. „ქართული მარგანეცს". მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საზოგადოების მიერ შემოღებული განტვირთვის წესები საგრძნობ ზარალს აძლევს რკინის გზას, იმ მხრივ, რომ იწვევს ორთქლმავლების უმიზნო და უნაყოფო მუშაობას. ორთქლმავლების ნაკლებობა კი აფერხებს სადგურების მუშაობასო. ა/კ. რკინის გზათა სამმართველოს კომერციულ ნაწილის გამგე ამხ. აბელოვი (რომელიც პირადად აწარმოებდა გამოკვლევას) წინადადებას იძლევა, რომ 8 ვაგონის განსატვირთად დაწესებულ იქნეს 40 წუთის ვადა და აღდგენილ იქნეს განტვირთვის ძველი წესი.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირის კულტმუშაობა

მიწა-ტყის კავშირის კულტგანყოფილებამ ა/წ. ივნისიდან—ენკენისთვემდე ცენტრის ადგილკომებთან და სამაზრო-სარაიონო განყოფილებებთან არსებულ სამკითხველოების საჭირო ლიტერატურით შევსების მიზნით გასცა პოლიტიკური, პროფესიონალური და ბელეტრისტური შინაარსის წიგნები, ქართული, რუსული, სომხურ და მუსულმანურ ენებზე. ამასთანავე განყოფილებამ გახსნა ორი ახალი ბიბლიოთეკა: ერთი ვერის რაიონის მოჯამაგირეთათვის და მეორე სასოფ.-სამ. სკოლის მოწაფეთათვის, რომლებთაც დაუგზავნა საჭირო ლიტერატურა და სხვა ნივთები.

სულ ამ ხნის განმავლობაში გაცემულ იქნა 609 ცალი წიგნი სხვადასხვა შინაარსისა. ამასთანავე მან გამოუწერა კავშირის წევრებს, ადგილობრივ სამკითხველოებს და განყოფილებებს 965 ცალი ჟურნალ გაზეთი.

ლექციები

საანგარიშო თვეების განმავლობაში განყოფილებამ ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტის მიწა-ტყის კავშირის წევრ სტუდენტებისათვის მოაწყო ოთხი ლექცია პროფმოძრაობის სხვადასხვა თემებზე.

ექსკურსიები

ამ ხნის განმავლობაში მოწყობილ იქნა ექვსი ექსკურსია კავშირის წევრთათვის, სადაც მონაწილეობა მიიღო კავშირის 92 წევრმა.

კულტგანყოფილებამ უხელმძღვანელა აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კავშირის წევრ სტუდენტებს მათი ექსკურსიების მოწყობის დროს. კავშირის შუამდგომლობით უმაღლეს ორგანოების წინაშე ამ ექსკურსიებმა ისარგებლეს უფასო მიმოსვლით და მათ გაეწიათ სათანადო დახმარებები.

ექსკურსიაში მიიღო მონაწილეობა 80 სტუდენტმა.

პროფმუშაობის ქრონიკა

განათლების მუშაკთა კავშირში

— **შრომის სკოლების პედაგოგიურ პერსონალის ხელფასის შესახებ.** განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა—დაბეჯითებით ეთხოვოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რათა მან მიიღოს გადამჭრელი ზომები იმის შესახებ, რომ შრომის სკოლების პედაგ. პერსონალის მიმართ ახალ საბიუჯეტო წლიდან, აუცილებლად გატარებულ იქნას ცხოვრებაში ცხრამანეთიანი მინიმუმი 1:8 შეფარდებით.

— **დახმარება პიონერთა კოლექტივს.** განათლების მუშაკთა კავშირმა დაადგინა—ა/კ. კომუნივერსიტეტის პიონერთა კოლექტივს გაეწიოს შესაძლებელი დახმარება.

— **სტიპენდიების შესახებ.** გან მუშაკთა კავშ. პრეზიდიუმმა დაადგინა—(ვინაიდან, თანახმად ს. პ. ს. განკარგულებისა, აკრძალულია კავშირის კულტფონდიდან სტიპენდიების გაცემა და სხვა წყარო კი კავშირს არ გააჩნია) მოიხსნას სტიპენდიები პირველ ოქტომბრიდან, ხოლო განათლების სახკომატს ეთხოვოს კავშირის ყოფ. სტიპენდიანტები აიყვანოს თავის კმაყოფაზე.

— **ტექნიკური პერსონალის შრომის ხელფასის შესახებ.** გან. კავშ. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად სატ.-სუეკონომიო განყოფილებას დაევალოს ყოველგვარი ზომები პოლიტ. ინსტიტუტის ტექნიკური პერსონალისთვის შრომის ხელფასის გადიდების შესახებ.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **საბარათო სისტემა.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაამტკიცა ახალი საბარათო სისტემა საკავშირო ანარიცხების აკრეფისა. ხარჯთაღრიცხვა 3.238 მანეთის რაოდენობით დამტკიცებულია პროფკავშირის მიერ.

— **კულტთათბირები.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა ხშირად მოიწვიოს კულტთათბირები.

— **მუშკორთა თათბირები.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა მოიწვიოს მუშკორთა თათბირები ყველა უბნებში. ამ თათბირების შემდეგ მოწვეული იქნება მუშკორების საგზაო თათბირი.

— **982 მანეთი.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გადასდო 982 მანეთი პოლიტკატორღელთა საზოგადოების ჟურნალთა შესაძენად.

— **განაწილება.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გაუნაწილა საუბნო კომიტეტებს თანხა კულტმუშაობათა საწარმოებლად.

— **წიგნების გადასინჯვა.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს წიგნსაცავ-სამკითხველოებში არსებული წიგნების გადასინჯვა, რის შემდეგ გაცვეთილ წიგნებს გაუკეთდება ყდები, ხოლო ზოგან შეძენილი იქნება ახალი ლიტერატურა.

— **დეცენტრალიზაცია.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს ადგილკომების შესანახად არსებულ თანხის დეცენტრალიზაცია.

— **წარმოებებზე.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა მიმართა ადგილკომებს დაათვალიერონ წარმოებები მუშაობის დროს.

— **კარავის გაფართოება.** „ზაკტპო“ შეუდგა თბილისის მთავარ სახელოსნოებთან არსებულ სავაჭრო ფარდულის გაფართოებას.

შრომის დაცვა

დასავლეთ-საქართველოში

19 ოქტომბერს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე შრომის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ჯიჯაძემ გააკეთა მოხსენება შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ დასავლეთ საქართველოს, აჭარისტანის და აფხაზეთის საწარმოო დაწესებულებებში, რომელთა გამოკვლევაც სწარმოებდა ამ უკანასკნელ ხანებში. ამხ. ჯიჯაძე შეეხო უმთავრესად შენიშნულ ნაკლულოვანებათ შრომის დაცვის დარგში.

აჭარისტანი

აჭარისტანის წარმოებების ნაკლი შრომის დაცვის დარგში არის ის, რომ ბევრ წარმოებებში სადაც შემოღებულია ნარდი მუშაობა, არ არის დაცული 8 საათის სამუშაო დღე, ვერ არის კარგათ დაყენებული სამკურნალო დახმარება.

ჩაქვის სახ. მამულებში ყველა მუშა დაზღვეული არ არის, საჭიროა მრავალ აქტიური ღონისძიების მიღება გახშირებული ციებ-ცხელების წინაღმდეგ.

აფხაზეთი.

აფხაზეთის წარმოებები შრომის დაცვის მხრივ მოკლებულია შრომის ინსპექტორის მეთვალყურეობას. ზოგიერთ წარმოებებში შემოღებული არ არის ნახევარი საათის შესვენება. მოუწესრიგებელია ახალგაზრდებისათვის წარმოებებში ჩაბმის საკითხი. არ ტარდება სპეცტანსაცმელის ნორმა. ათონის საბჭოთა მეურნეობის სახელოსნოებში მუშაობა სწარმოებს ნარდათ, რის გამო ვერ ტარდება 8 საათის სამუშაო დღე. მუშებს არა აქვთ საანგარიშო წიგნებზე არავითარი წარმოდგენა. გაგრაში არიან დაუზღვეველი მუშები. თამბაქოს პლანტაციებში სამუშაო დღე გრძელდება 16 საათს. მოიჯარადრეებთან დადებულ პირობებში არ არის გარკვევით განსაზღვრული ხელფასის რაოდენობა. მოზარდების და მოზრდილთა შრომის პირობები ერთგვარად მძიმეა. ავადმყოფ მუშების საამბულატორიო დახმარება დამაკმაყოფილებელია. სავადმყოფოები კი ცუდათ არიან მოწყობილი, რაც იწვევს მუშათა უკმაყოფილებას.

დასავლეთ საქართველო.

დასავლეთ საქართველოში გამოკვლევა შეეხო ფოთის, ახალსენაკის, ქუთაისის წარმოებებს და ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროებს. ფოთში შრომის დაცვის პირობები მოუწესრიგებელია, რადგან შრომის ინსპექტორი ახლახან შეუდგა მუშაობას.

მუშებს ძლიერ უმძიმთ მუშაობა ფოთის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, რომელსაც არ გააჩნია კედლები, და წარმოადგენს მხოლოდ თავდახურულ ფარდულს. ცუდათ არის დაყენებული სოციალური დაზღვევის საქმე. ავადმყოფთა დიდი პროცენტის გამო, დამზღვევი კასა ვერ აკმაყოფილებს ყველას მოთხოვნილებას. მალარიის შესაწყლებლად საჭიროა ქინიზაციის გატარება.

შავი ზღვის რკინისგზის სააღმშენებლო უბანში მუშები ღებულობენ მხოლოდ საექიმო დახმარებას, ხელფასი ავადმყოფობის დროს მუშებს არ ეძლევათ. შედარებით კარგათ არის დაყენებული მუშათა კვების და დაბინავების საქმე შ. ზ. რკინისგზებზე. აბაშის ჰიდროელსადგურზე შრომის დაცვა დამაკმაყოფილებელია.

ქ. ქუთაისის წარმოებებში არ სწარმოებს უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა. თამბაქოს ქარხნებში მუშებს არ ეძლევათ რძის სრული ნორმა. მაუდის ქარხნის მუშებს არ აქვთ საანგარიშო წიგნაკები. აქვე მუშებს უხდებათ ცემენტის იატაკზე მუშაობა.

ტყვიბულის მაღაროებში შემოღებულია ზედმეტი მუშაობა. მუშებს არ ეძლევათ სპეცტანსაცმელი და არა აქვთ საანგარიშო წიგნაკები. მუშების მეტი ნაწილი სცხოვრობს სარდაფებში. მაღაროებში არა აქვთ პირსაბანი, საპონი და პირსახოცი.

მოხსენების დასასრულ ამხ. ჯიჯაძე აღნიშნავს, რომ მუშათა უმრავლესობა სრულიად არ იცნობს შრომის კანონმდებლობას, რაც შენიშნულ ნაკლულოვანებათა ერთერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს: იმ წარმოებებში, სადაც შრომის კანონმდებლობასთან გაცნობილი მუშები იმყოფებიან, შრომის პირობები შედარებით უკეთესია.

საჭიროა კავშირებმა მიიღონ ზომები შრომის კანონმდებლობის საპოპულარიზაციოდ.

შრომათა დაცვის და სოც. დაზღვევის ორგანოების გადაუდებელი ამოცანა არის აგრეთვე მუშების და მათი ოჯახებისათვის ქინის მიწოდება და საერთოდ სამკურნალო დახმარების საქმის მოგვარება.

სასოფლო მეურნეობა

კურსები სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საჭირო მუშაკების მოსამზადებლად

გუშინ გაიხსნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საჭირო მუშაკების მოსამზადებელი კურსები. კურსები მოაწყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა.

საზეიმო გახსნას დაესწრენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და კურსების პედაგოგიური პერსონალი.

კურსები 5 თვიანია, მსმენელთა რიცხვი უდრის 58 კაცს. კურსებზე მეცადინეობა იქნება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის. თეორიას დღეში დათმობილი ექნება 6 საათი, პრაქტიკულ მუშაობისათვის დრო არ არის განსაზღვრული. კურსანტები შეისწავლიან, როგორც სატრაქტორო საქმეს, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოხმარას. კურსების დამთავრების შემდეგ ზოგი კურსანტი მიიღებს ტრაქტორისტის მოწმობას. ზოგი—ინსტრუქტორისას და სხვა.

კურსების ხელმძღვანელია პროფ. კ. მ. ამირეჯიბი. მისალმებების შემდეგ დამსწრეთ უჩვენეს „ჰოლტისა“ და „ფორძონის“ სისტემის ტრაქტორები.

საქონელი სოფლისათვის

მანუფაქტურა

საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატის ბათომის სააგენტო ამ დღეებში მიიღებს საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან 650 კილო მანუფაქტურას. დღემდე სააგენტო მანუფაქტურით ვაჭრობას ცალობით აწარმოებდა. ეხლა კი სააგენტოს წინადადება მისცა შინა ვაჭრობის სახ. კომიტეტმა, შესწყვიტოს მანუფაქტურის წვრიმალი ვაჭრობა და საქონელი მიაწოდოს მხოლოდ იმ რაიონებს, რომელთა მანუფაქტურით დაკმაყოფილება მას აქვს დაკისრებული.

კოოპერატიული ვაჭრობა სოფლად.

სექტემბრის და ოქტომბრის პირველი ნახევრის განმავლობაში კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა სავსებით დაიპყრეს ქალაქის და სოფლის ბაზრები. მაგალითად შაქრის, მარილის, ნავთის ბაზრობა 100 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა ხელშია, მანუფაქტურის, ფქვილის და ასანთის ბაზარი ამავე დაწესებულებებს დაპყრობილი აქვთ 80 პროცენტით, რაც შეეხება ხორცის ბაზარს, ხორცით ვაჭრობა სანახევროდ (50 პროცენტით) სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებების ხელშია:

ვაჭრობა სექტემბერში.

საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილება სავსებით ვერ ფარავს მოთხოვნილებას. განყოფილება საჭიროებას მხოლოდ სანახევროდ აკმაყოფილებს. უკანასკნელ დრომდე სააგენტოში შემოღებული იყო მყიდველთა წინასწარი ჩაწერა. ამჟამად ეს წესი დროებით გაუქმებულია. სექტემბრის განმავლობაში სინდიკატმა სახელმწიფო ორგანოებს სოფლებში დასაგზავნად დაურიგა 123.723 მანეთის საქონელი.

კოოპერატივების მოთხოვნილება საქონელზე სექტემბრის განმავლობაში შემცირდა, სამაგიეროდ სწრაფად იმატა ოქტომბერში, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ გლეხობამ მოსავლის მოწევა დაამთავრა და მოსავლის ნაწილის განაღდებით მიღებული თანხით შეუდგა სამზადისს ზამთრისათვის.

სიმინდის ფქვილის და ბრინჯის მიწოდება

„ხლებოპროდუქტის“ ბათომის განყოფილებამ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიიღო 4 ვაგონი სიმინდი, 8 ვაგონი ყუბანის ფქვილი. ამ მოკლე ხანში მიღებული იქნება 12 ვაგონი განჯური ბრინჯი. მოწესრიგებული რეგულიარული მიწოდების გამო, პურის პროდუქტებზე ფასების საგრძნობლად კლებულობს.

მანუფაქტურის ნაკლებობა კახეთში.

კახეთის სასოფლო კოოპერატივებში მანუფაქტურა უკვე აღარ იშოვება. ამ გარემოებით სარგებლობენ კერძო ვაჭრები, რომელნიც ფართალს სოფელ-სოფელ დაატარებენ და ორმაგ ფასებში ყიდიან.

ველისციხის ერთ. მომხ. საზოგადოების საფართლოს განყოფილება ყოველდღე გაჭედილია მყიდველებით. ამ კოოპერატივიდან იძულებული არიან საქონელი გაიტანონ არა მარტო ველისციხის ახლო მდებარე სოფლებმა, არამედ ისეთი დაშორებული სოფლების მცხოვრებლებმაც, როგორიც არის კაკაბეთი, კოდალო და სხვა.

გლეხები კოოპერატივში მოდიან მთელი ოჯახობით და ძუძუმწოვარა ბავშვებით. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება არის იაფფასიან თეთრეულზე.

ბრძოლა სოციალურ სნეულებებთან

მალარია საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში.

წითელი ნახევარ მთვარის ც. წ. სამალარიო კომიტეტმა მოახდინა აჭარისტანის გამოკვლევა იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენად არის გავრცელებული მალარიით დაავადმყოფება აჭარისტანის მაზრებში. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მალარია ყველაზე მეტად გავრცელებულია ქობულეთის მაზრაში, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედი ამ სენით არის დაავადებული.

რაც შეეხება თვით ბათომს, დროზე მიღებულ სხვადასხვა ღონისძიებათა გამო სახელდობრ—დაჭაობებულ ადგილების ამოშრობის, არხების გაყვანის და სხვა სანიტარულ ჰიგიენური ზომების გამო, მალარიით დაავადმყოფების შემთხვევები წარსულ წელთან შედარებით ძალზე შემცირდა. მალარიის ტროპიკული ფორმით დაავადმყოფების არც ერთ შემთხვევას ქალაქში წელს ადგილი არ ქონია. გასულ წელს კი მალარიის ტროპიკული ფორმა ისე გავრცელდა, რომ საშიში ხასიათი მიიღო.

პროფილაქტიური რაზმის ნაყოფიერი მუშაობის და აგრეთვე დაჭაობიანებული ადგილების ამოსაშრობად კომუნალური მეურნეობის მიერ წარმოებულ მუშაობის გამო მალარიით ავადმყოფობამ სოხუმში შარშანდელ წელთან შედარებით 50 პროცენტით მოიკლო.

ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან.

აჭარისტანის მაზრებში ვენერიულ სნეულებით (განსაკუთრებით) სიფილისით დაავადმყოფებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ადგილებზე დაგზავნილია მკურნალთა სპეციალური ექსპედიცია, რომელსაც თან დააქვს წამალი „914“ და სხვა საჭირო მედიკამენტები. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს იმ ადგილებში, სადაც ვენერიული ავადმყოფობა ძალზე გავრცელებულია, ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად გაგზავნოს გამოცდილი ექიმთა კადრი, რომელიც მუდმივათ ადგილობრივ იმუშავებს. იმ მიზნით რომ ავადმყოფობასთან ბრძოლა სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული, ჯანსახკომმა დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე გაუდიდდეს სოფლად მომუშავე ვენეროლოგ ექიმებს თვიური ხელფასი 90 მანეთიდან 200 მანეთამდე.

აფხაზეთში ვენერიული სნეულება ძალზე გავრცელებულია. მშვიდობიან დროსთან შედარებით სიფილისით დაავადება 25 პროცენტით გადიდებულია. აფხაზეთში ხშირია ისეთი სოფელი, სადაც სიფილისით დაავადმყოფებულთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენს.

ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან, როგორც აფხაზეთის ექიმთა ყრილობამ აღნიშნა, ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

1925 წელში აფხაზეთში გასულ წელთან შედარებით გადიდებულია დაახლოებით ორჯერ ჭლექით დასნეულებულ ავადმყოფთა რიცხვი.

რესპუბლიკა საჭიროებს დისპანსერების და პროფილაქტ. რაზმების მოწყობას.

თბილისის საბჭოს სექციებში

ორშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების სხდომა სამხედრო სექციის გამოკლებით, რომლის სხდომამაც არ შემდგარა ქვორუმის შეუკრებლობის გამო.

კომუნალური სექცია

დებულების განხილვა და მიღება.

წაკითხვის და ამხ. ლეინის ახსნა განმარტების შემდეგ სექციამ უცვლელად მიიღო თბილისის საბჭოს და მისი ორგანოების დებულება.

შემდეგ სექცია ისმენს ცეცხლისმქრობელი რაზმის უფროსის ამხ. ბერიძის მოხსენებას.

ცეცხლისმქრობელი რაზმის შესახებ.

მომხსენებელი ახასიათებს ცეცხლისმქრობელი რაზმის მდგომარეობას წინათ და ახლა, რას წარმოადგენდა ცეცხლისმქრობელი რაზმი მეფის რეჟიმის და მენშევიკების დროს და რას წარმოადგენს იგი გასაბჭოების შემდეგ მეფის დროს არსებობდა მხოლოდ ცეცხლის მქრობელთა ერთი პატარა რაზმი, რომელსაც ჰყავდა მხოლოდ 16 ცხენი. რაზმი სამსახურს უწევდა მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ შენობებს, განაპირა უბნები კი მოკლებული იყვნენ ცეცხლის ხიფათისაგან დაცვის საშუალებას. გასაბჭოების შემდეგ პირველი ყურადღება მიექცა ცეცხლის ქრობის ორგანიზაციის საქმეს, როგორც ცენტრში, ისე განაპირა უბნებში. ამჟამად ცეცხლის მქრობელი რაზმი შესდგება 12 სხვადასხვა ნაწილისაგან, რომელნიც ემსახურებიან თბილისის ყველა უბნებს. რაზმები მუშაობენ ორ წყებად. მოკლე ხანში შემოღებული იქნება სამ წყებად მუშაობა, რაც გაადვილებს ცეცხლთან ბრძოლას.

ცხენიანი ეკიპაჟების ნაცვლად რაზმებს ჰყავთ დიდი სწრაფმოძრავი ავტომობილები. რაზმი აღჭურვილია ახალი ცეცხლის საქრობი იარაღებით და ინსტრუმენტებით; სხვათა შორის მას მოეპოვება 15 არშინიანი კიბე, რომელიც აადვილებს მაღალ შენობებზე სისწრაფით ასვლას. ამ ჟამად გერმანიაში შეკვეთილია 40 საჟენიანი კიბე, რომელიც მოკლე ხანში მიღებული იქნება. ბრძოლას ხანძართან აბრკოლებს საწყლო ონკანების უქონლობა ზოგიერთ ქუჩებზე. ამ დამაბრკოლებელ გარემოების გამო რაზმი ხშირად იძულებული ხდება წყლით დაიტვირთოს და ისე მიეშველოს ხიფათში ჩავარდნილ უბანს, რაც მეტად აგვიანებს სასწრაფო მიშველებას. შემდეგ მომხსენებელი ეხება რაზმელთა შრომის პირობებს, რომლებიც მომხსენებლის თქმით, თანდათან უმჯობესდება. რაზმელებს გაუდიდეს ხელფასი და შეუმცირდათ მუშაობის დროც.

მოხსენების დასასრულ სექციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი იწონებს ცეცხლის მქრობელთა რაზმის მუშაობას.

სოფლად მუშაობის სექცია

პირველად სექციამ განიხილა თბილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულება, რომელიც უცვლელად მიღებულ იქნა. შემდეგ ამხ. კორძახიამ სექციას გააცნო.

საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად

უკანასკნელ თვეებში, ამხ. კორძახიას გადმოცემით საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად გაცხოველდა. საბჭოთა ძირითადი ორგანოების გადახალისებამ გლეხობის მასაში შეიტანა მეტი აქტიობა და გამოაღვიძა თვითმოქმედების უნარი. სასოფლო საბჭოების და თემალმასკომების სხდომები იმართება სისტემატიურად და ყოველთვის იზიდავს წევრების დიდ ნაწილს. საბჭოთა ორგანოები თანდათან უახლოვდებიან თავიანთ დანიშნულებას. უმეტეს შემთხვევაში დღის წესრიგში ისმება სოფლისათვის საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც შეეხებიან უმთავრესად გზების გაყვანას, წყლის გაყვანას, ყანების მორწყვას, სასკოლო საქმეს, ჯანმრთელობის დაცვას და საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგებს.

სასოფლო-საბჭოების და თემალმასკომების წევრები დიდი ინტერესით ეკიდებიან ასეთი საკითხების განხილვას და თავის ცოდნა-გამოცდილებით ხელს უწყობენ მზგავს საკითხების მიზანშეწონილად გადაჭრას.

ამასთანავე სოფლად მყარდება რევოლიუციონური კანონიერება, ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს.

სოფლად წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოფლის ინტელიგენცია.

თითქმის თბილისის მაზრის ყველა თემების ალმასკომებში მოწყობილია სექციები, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოფლად მყოფი მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ბეითლები და სხვა. სექციები საბჭოების მუშაობას აძლევენ გეგმაშეწონილ ხასიათს.

მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა დიდი ხანი არ არის დაწყებული, ნაყოფი მაინც თვალსაჩინოა. მომავალში მუშაობა უფრო გაძლიერდება, რაც წინ წასწევს მაზრას როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად.

სექციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი იწონებს სოფლად წარმოებულ მუშაობას.

განათლების სექციაში

პირველ საკითხად დასმული იყო თბილისის საბჭოს და მისი ორგანოების დებულების განხილვა, რომელიც არ მომხდარა. სექციის აზრით საჭიროა, რომ წევრები დაწვრილებით გაეცნონ დებულებას, ამიტომ სექციამ დაადგინა, ეთხოვოს ალმასკომს დებულების დაბეჭვდა და მისი წინასწარ გაცნობის მიზნით სექციის წევრებისთვის დარიგება.

ბავშვთა მიღება 1925—26 წელს და ახალი ჯგუფების გახსნა.

შემდეგი მოხსენება გააკეთა ამხ. ქაცარავამ, 1925—26 სამოსწავლო წლისათვის სკოლებში ბავშვების მიღების შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მიმდინარე სამოსწავლო წელს თბილისის სკოლებში მიღებული ყოფილა 6.454 ბავშვი, აქედან ქართულ შრომის სკოლებში მიღებულია 2796 ბავშვი, რუსულ სკოლებში—1.823, სომხურ სკოლებში—1.164, და ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში—571. სკოლის გარეთ დარჩა 2422 ბავშვი, რომელთა სკოლებში მისაღებად განზრახულია დამთავრებულ იქნეს მე-10 ჯგუფების სწავლა პირველი ნოემბრისათვის და მე-10 ჯგუფის ნაცვლად გაიხსნას 30 ახალი ჯგუფი. ამ ჯგუფებში მიღებული იქნება 1000 ბავშვზე მეტი. გარდა ამისა განზრახული ჯგუფის რიცხვი აყვანილ იქნეს 50-მდე, თუ სკოლის ოთახებმა დაიტია ასეთი დიდი ჯგუფები. ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ სკოლის გარეთ ბევრი ბავშვი აღარ დარჩება.

სექციამ განათლების განყოფილების მუშაობა მოიწონა. რამოდენიმე მიმდინარე საკითხის განხილვის შემდეგ სექციის სხდომა დაიხურა.

მუშათა ცხოვრება

ბაბაჯიკა ასე ბრძანებს

(პატარა ფელეტონის მაგიერ).

— ბიჭო, ბაბაჯიკ! რა არის, რომ პატარა გაწვიმდება თუ არა, ამ ჩვენ ქუჩაში აღარ გაივლება... ისეთი საშინელი ტალახი დგება.

ბაბაჯიკამ ჯერ იქვე ახლო ქენქებს გადახედა, შემდეგ ცეკავშირის ძეხვის ქარხანას იქით მდგარ ტალახის მორევს და ბრძნულად წარმოსთქვა:

— ქვაფენილის დაგებაა საჭირო

— მერე რატომ არ აგებენ?

— იმიტომ, რომ ალმასკომს არა სცალიან.

— როდის მოიცლის ალმასკომი ჩვენი ქუჩისათვის?

— რა ვიცი, ჯერ ალმასკომს ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი: საბურთალოს დაგეგმვა და ქუჩების გაყვანა, შუაბაზრის, ვორონცოვის და მალაკნის ქუჩების გაფართოვება მთაწმინდაზე ტყის გაშენება, კოჯორში და მცხეთაში ტრამვაის გაყვანა და კიდევ სხვა ათასი რაღაცები. როდესაც ყველა ამას მორჩება და სხვა აღარაფერი ექნება გასაკეთებელი, ალბათ მაშინ ჩვენს ქუჩას მოხედავს იგი.

— შენ, რომ ჩამოთვალე, მაგას ხომ ოც წელიწადშიაც ვერ გააკეთებს, და მანამდე უნდა ვიყოთ უპატრონოთ?

— ოცი არა, მაგრამ თვრამეტ-ცხრამეტი წლის შემდეგ კი სულ მზად იქნება...

— ამ ნიაღვრის გამოტანილი ქვაღრეთი რომ გაივსო აქაურობა და ნიაღვარი სახლებში უვარდება ხალხს, ამას გასუფთავება არ უნდა?!

— ჰაი, ჰაი.—ვფიქრობ, რომ გაასუფთავებენ როდისმე!..

— მაინც როდის გაასუფთავებენ.

— როცა ვირი თავისი მარჯვე და „მოქნილი“ ფეხებით ხეზე ავა. სთქვა ბაბაჯიკამ და უიმედოთ ხელი ჩაიქნია.

მუშა ნიკო ახ—ლი.

აგვიკლო ამ „ვაჟბატონმა“.

ვაკეში სახელმ. უნივერსტ. უკან სცხოვრობს ვინმე ვასო წერეთელი, რომელსაც აქვს საკუთარი სახლი. ეს ვაჟბატონი მოსვენებას არ აძლევს თავის მდგმურებს: ილანძღება, იგინება და ემუქრება მათ. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მდგმურს მოქ. მირონ ყიფიანს კეტი თავში დაარტყა. ამის შემდეგ იქ ველარ მიდის მოქ. ყიფიანი.

წერეთელი არის უსაქმო კაცი და დღე არ გავა ისე რომ ვინმემ არ იჩივლოს.

უბნის კომისარო, შენებურად ლაგამი ამოსდე ამ კაცს.

მუშკორი შალი.

მიბაძეთ ამათ მაგალითს

ა. წ. 11 ოქტომბერს ამხ. ალ. ბადაშვილის და ზ. ადიკაშვილის ინიციატორობით შინამრეწველ ხელოსანთა კლუბში, ს. მარტყოფის ლ. სუხიშვილის სახელობის კლუბის ფონდის გასაძლიერებლად დაიდგა წარმოდგენა „საიათნოვა“. წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დაგრჩა 166 მ.

ამის გარდა, თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის გამგეობამ შესწირა 81 მანეთი. სულ შემოვიდა 247 მან., რომელიც გადაცემულია დანიშნულებისამებრ.

ასეთი მოქმედებისათვის ის პირები, რომლებიც სცხოვრობენ თბილისში და არ ივიწყებენ თავიანთ თანასოფლელ გლეხებს, მადლობის ღირსნი არიან. ამათ სხვებმაც უნდა მიბაძონ.

მუშკორი გუგუნა.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ამ უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს.** ა/კ. რკინისგზის სამასალო სამსახურის მთავარ მაღაზიაში 14 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერათ მუშაობდა კანტორის მოხელეთ ამხ. ვასო გოცირიძე. ამ ბოლო ხანებში მას გადაემტერა მაღაზიის გამგე მოქ. მიმინაიშვილი და მოსვენებას არ აძლევს; უნდა სამსახურიდან მოხსნას, ან და შავ-მუშის ადგილზე გადააყენოს.

უბკავშირო, დაიცავი ამ მუშაკის ინტერესები.

მუშკორი მოკეთე.

— **სადგ. ჭიათურის ბუფეტის აფერისტები.** აღნიშნული ბუფეტი აქვთ იჯარით აღებული ორ სავაჭრო და ბნელ მოიჯარადრეთ პ. დარსაველიძეს და გ. მიქაუტიძეს. მათი მეოხებით ბუფეტში ხშირია ათასფერი „სკანდალები“ იმის გამო, რომ ეს აფერისტები ნისიათ დანახარჯ ფულებს ქერდულათ ადიდებენ. აქ ნისიაობენ ადგილობრივი მუშა მოსამსახურენი.

ალაგმეთ ეს აფერისტები.

პირდაპირი.

— **გამოასწორეთ ეს საქმე.** რადგანაც მრავალი ხალხი ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო მტკვრის მსხვერპლადდა ამავე დროს მშველელთ არავინა ყავთ, ამიტომ საჭიროა მტკვრის პირას დაბინაოთ მშველელები.

მუშკორი უ—ვი.

— **დაგვიარსეთ რაიმე სახელოსნო.** კამოს ქუჩაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც მიდის მსმენელთა გაცხოველებული თეორეტიული მომზადება. მაგრამ მარტო ასეთი მზადება სრულებით არ კმარა. საჭიროა პრაქტიკულადაც გვამუშაოთ. ამისათვის კი საჭიროა ტექნიკუმთან გაგვიხსნათ რაიმე სახელოსნო. უამისოდ ყოველი ჩვენი ცდა ჰაერზე ჩამოკიდებული იქნება.

გლეხის შვილი

— **უმადური „ნათესავი“.** ელისაბედის ქ., სახ. № 212-ში ცხოვრობდა ჭლექით დაავადებული, შრომის უნარდაკარგული 95 პროცენტით ა. მარსაგოვი, რომელსაც მოტყუილებით ჩაუსახლდა ბიძაშვილი **ლევან მარსაგოვი.** ეს უკანასკნელი ავადმყოფ ნათესავს პირდებოდა ყოველგვარ დახმარებას, ნამდვილად კი ავადმყოფი თავის ბინიდან აბარგა და თვითონ დაეპატრონა მის ბინას.

სიმართლის მთქმელი

— **გაგვინათეთ ეს ქუჩა.** როსტოვის ქუჩაზე არ არის ელექტრო-განათება და აქ ღამით საშინლად ბნელა. ამ ქუჩაზე უმეტესად მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ და დიდ გაჭირვებას განიცდიან უსინათლობის გამო.

ს. ნ. ხო—შვილი.

— **აქაც განათებაა საჭირო.** წყნეთის ქუჩის ბოლოდან ვიდრე ვაკემდე საშინლად ბნელა. აქაური მოსახლეობის უმრავლესობას მუშები შეადგენენ.

ალმასკომო, გაანათეთ ეს ქუჩაც.

მუშკორი შალი.

— **მოგვაშორეთ ჩარჩები.** საბურთალოზე სამხედრო გზით, დუშეთიდან და სხვა სოფლებიდან, სოფლელებს მოაქვთ სოფლის სურსათ-სანოვაგე, გლეხები თბილისში შემოდიან ლენინის ქუჩით. სოფლელებს გზაში ღამით უხვდებიან და ჩალის ფასად ჰყიდულობენ ჩარჩები. ეს ჩარჩები მას ჰყიდიან შემდეგ სისხლის ფასად.

ალაგმეთ ჩარჩები.

მუშკორი შელი

— **რაშია საქმე?** წინად მუშკოპის პურის საცხობებში ცხვებოდა საუკეთესო ხარისხის პური (ფასით 8 კ. ფურნის, 9 კ. თორნის). ეხლა კი პური აღარ ცხვება კარგი. რა მიზეზით და ვის განკარგულებით გაუარესდა მუშკოოპის პური?

შალი

ქრონიკა

ალმასკომში

— **სანიტარულ-განათლების გამოფენა.** ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ამ დღეებში ველაბარში მე-3 რაიკომის კლუბში გახსნის სანიტარულ განათლების გამოფენას.

— **წყალსაზომების დათვალიერება.** წყალსადენის სამმართველო შეუდგა წყალსაზომების დათვალიერებას, მათი ვარგისიანობის გამოსარკვევად.

— **ელექტრო სადგურების სამმართველოს** სადგურებმა სექტემბერში გამოიმუშავა 230,000 კილ. საათი; 42,2 პროც. მეტი გასულ წლის სექტემბერთან შედარებით.

— **ზაჰესის ცენტრალურ ქვე-სადგურის** ასაგებათ უმთავრესი სამუშაოების 100 პროც. ამ ჟამად შესრულებულია.

ავიაქიმი

— **ვერცხლის ლატარია.** ავიაქიმის ვერცხლის ლატარიის გათამაშება მოხდება 25 დეკემბერს.

— **ლიტერატურა ავიაქიმიაზე.** საქ. ავიაქიმმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები ავიაქიმის შესახებ ლიტერატურაზე ფასების დასაკლებად, მათი ფართოდ გავრცელების მიზნით.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

— **გლეხკომების მუშაობაში.** არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად, კომისარიატმა აცნობა მაზრა-ალმასკომებს, რომ სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორები და გლეხკომების თავმჯდომარეები ამა თუ იმ შემთხვევის გამო ნუ იქნებიან მოხსნილი კომისარიატის დაუკითხავად.

სხვადასხვა

— **ამხ. ტროცკის სახ. მუშათა ახალშენის** გასაშენებლად ცენტრ. სააღმშენებლო კომიტეტმა მოსკოვის კომუნალურ ბანკიდან სესხათ გამოითხოვა 500,000 მან.

— **სანიტარული ჰაეროპლანი.** ჯანსახკომმა შეადგინა განსაკუთრებული სექცია სანიტარული ჰაეროპლანის ასაგებათ,

— **ყველის გატანა.** წარმოკავშირმა მოსკოვში გასასაღებლად გაიტანა ქართულ-შვეიცარული ყველის პირველი პარტია 2000 ფ. რაოდენობით.

— **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** ა.-კ. პროფკავშირთა წევრების შორის წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობად გასულ წელს მოწყობილი იყო 900 სკოლა.

— **საინჟინერო-ტექნიკურ** ძალთა ა.-კ. სექციებში ამ ჟამად გაერთიანებულია 2 ათასი კაცი.

— **ქვა-ნახშირის წარმოება.** უმაღ. სამ. საბჭოს გეგმით მიმდინარე წელში ტყიბულის მაღაროებიდან ამოიღებენ 5400 ათას ფუთ ქვა-ნახშირს.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** საქ. შრ. სახ. კომისარიატის მიერ ქუთაისში მოწყობილ შრომის კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 110 კაცი.

— **მიზნობრივი სესხი.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა მიმდინარე წელში გასცეს 20 ათასი მანეთი მიზნობრივი სესხის სახით საქართველოში მეფუტკრეობის საქმის ასაღორძინებლად.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მოწინავე წერილის უკანასკნელ აბზაცში შეპარულია შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. დაბეჭდილია: „ეს ორი მავნე გადახრა—მართვა-გამგეობის ფუნქციების მითვისება და მუშების ეკონომიური ინტერესების **უზრუნველყოფა**—ძირიან-ფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი პროფორგანიზაციების პრაქტიკაში“. ხაზგასმული სიტყვა „უზრუნველყოფა“-ს ნაცვლად უნდა იყოს: **უგულებელყოფა.**

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 19 ოქტ. ღამით, სადგურის ქ. გაჩნდა ცეცხლი, დაიწვა მოქ. ხომასურიძის ბინის საკუჭნაო.

— **დაჭრა.** 19 ოქტ. სარაჯევის შესახ. მდებარე საჩაეში არტაშეს ნალბანდიანმა დანით დასჭრა სტეფანე პეტროსიანი. დამნაშავე შეიპყრეს.

— მეტეხის შესახ. № 7, მოქ. აკოფ იარალოვს გაუსკდა ყუმბარის კაპსიული და დაიჭრა ხელში.

— **თავდასხმა.** 18 ოქტ. ღამით სოფ. ხოსულენიაში (მანგლისი), კომკავშირის წევრს ამოტ ოგანეზოვს თავს დაესხა ოთხი უცნობი, რომლებმაც სასიკვდილოთ დასჭრეს ოგანეზოვი. შეიპყრეს მიტროფანე არშინი, ალ. არშინი და ივ. ლარიოვი. მეხუთე დამნაშავემ კუზნეცოვმა—მოასწრო მიმალვა.

— **ყუმბარის მსხვერპლნი.** 19 ოქტ. დღით ლოტკის გორის ახლოს პატარა მწყემსებს უნახავთ ყუმბარა, ჩაუფლავთ მიწაში და ზევიდან ცეცხლი გაუჩაღებიათ, ყუმბარა გამსკდარა და იქვე მოუკლავს მწყემსი შალვა თუაური, მძიმედ დაიჭრა ქარიმ ოღლი.

— **ქურდობა.** 19 ოქტ. მეჩნიკოვის ქ. № 11, გაქურდეს მოქ. მატვეევის ბინა, წაღებულია 100 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ტროცკის ქ. № 14 მოქ. ალექსანდრე პეჰინაძის ბინიდან მოიპარეს 102 მ. ნივთები.

— **შეპყრობა.** 19 ოქტ. შეიპყრეს უბინაო მცირეწლოვანი კუზნეცოვი, რომელმაც თავის ამხანაგებთან ერთად გაქურდა სადგურის ქ. მდებარე ჯანარიას ბინა.

ხელოვნება

გამოცდები სახელმწიფო კონსერვატორიაში

კონსერვატორიის მოწაფეებისათვის, რომელთაც თეორეტიულ საგნებში არ ჩაუბარებიათ გამოცდები გაზაფხულზე, გამოსაშვები გამოცდები გადადებული იყო შემოდგომისათვის. ამჟამად კონსერვატორიის კურსი ფორტეპიანოს კლასში დაამთავრა 7 კაცმა, აქედან ვინოგრადოვის პროგრამით—ხუთმა: ნასიბოვამ, კალანტაროვამ, ხალატოვამ, გერასიმენკომ და ბაგრატიონ-დავიდოვამ; მასწავლებელ ვირსალაძის კლასით კონსერვატორიის კურსი დაამთავრა სვანიძემ და ტრიუსკოვსკის პროგრამით—იუზბაშევმა.

კურსდამთავრებულებს უნდა შეესრულებიათ ბახის, მოცარტის, ბეთხოვენის, შუმანის, შოპენის და ლისტის ნაწარმოებნი, რომ გამოეჩინათ ყოველმხრივი მუსიკალური განვითარება და აგრეთვე მუსიკალური ნაწარმოების გაგება და ტექნიკური მომზადება. კურსდამთავრებულებს შორის ყველამ ვერ გამოიჩინა თანასწორი მუსიკალური ნიჭი და სიმწიფე.

განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა პროფესორ ვინოგრადოვის კლასის მოწაფემ გერასიმენკოს ქალმა (ბეტხოვენის სონატა, შუმანის ფანტაზია, შოპენის ნოქტიურნი, ლისტის პოემა—ლეგენდა).

მეტად მუსიკალური და დაკვირვებულია ხალატოვა (მოცარტის ფანტაზია, ბეტხოვენის სონატა, შუმანის და შოპენის ნაწარმოებები), ლისტი თავისი რთული მუსიკალური განცდებით არ ეგუება პიანისტ ქალის ნიჭს; ხალატოვა ძალიან კარგად ითვისებს ბახის შემოქმედებას.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თავისი ნიჭით და შესრულებით სვანიძემ. ის ძალიან დაკვირვებული და ინდივიდუალური ნიჭის პატრონი პიანისტია. უღრმესად სტილიურად და ღრმა განცდით შესრულა სვანიძემ ბეტხოვენის სონატა. დაკვირვებულად იყო შესრულებული შუმანის სიმფონიური ეტიუდები. ესპანური რაპსოდია ყოველგან კარგად იყო შესრულებული, ალაგ-ალაგ შესრულება პირდაპირ ვირტუოზული იყო. ვერ დასძლია სვანიძემ შოპენის ბალადა.

მეტად მუსიკალურია იუზბაშევა. პიანისტი ქალი გამოირჩევა მხატვრულობით, ემჩნევა ტექნიკური მხარეების კარგი ცოდნა —მშვენიერად შეუთვისებია შუმანის და შოპენის შემოქმედება.

მუსიკალურია კალანტაროვა (შუმანის სონატა და შოპენის პრელიუდიები).

პ. ბ.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „კარმენ“ ბორონკინას და კიპარენკო-დამინსკაიას მონაწილეობით.

— **ლ. ზომმერის კონცერტი.** პიანისტი ლ. ზომმერი საზღვარგარეთ გამგზავრების წინ სახ. კონსერვატორიაში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გამართავს კონცერტს.

— **სამხატვრო აკადემიაში** მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

— **წითელარმიელთა კლუბი** გაიხსნება ოქტომბრის დღესასწაულებისათვის.

„კომუნისტი" = მიიღება = ხელის მოწერა ნოემბრისათვის

ერთი თვით პროფკავშირების წევრებისათვის თბილისში და პროვინციაში 75 კ.

დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მ. : პროვინციაში— 1 მ. 20 კ.

ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასოთ „კომუნისტი"-ს დამატებები „მეცნიერება და ტეხნიკა" თვეში ორი ნომერი „ჩირაღდანი" [illegible] იუმორისტული განყოფილებით „ეშმაკის მაზე" თვეში ორი ნომერი

სოფელი

ოსეთის სამხედრო-გზის მდგომარეობა

უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებაა, ამ ხნის განმავლობაში მრავალი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე გაკეთდა, და დღესაც კეთდება.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გზა-ტკეცილები. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს-სამხედრო გზას, რომელსაც მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, მთელი რიგი სახელმწიფო მნიშვნელობის გზებისა, როგორიცაა ბეზობდალის, აფხაზეთის (შავი ზღვის), კახეთის და ოსეთის-სამხედრო გზები ისეთ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მიმოსვლა სახიფათოა, ხდება და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიც.

ეს განსაკუთრებით ოსეთის-სამხედრო გზაზე ითქმება.

ეს გზა თავის მნიშვნელობით სრულიად არ ჩამოუვარდება საქართველოს სამხედრო გზას; ამასთანავე ორი დიდი მაზრისათვის—რაჭა-ლეჩხუმისთვის ეს გზა იმდენათ დიდ მნიშვნელოვანია, რომ მათი არსებობა სამხედრო ოსეთის გზის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ქუთაისის მაზრა და ჩრდილოეთი-კავკასია ამ გზით მჭიდროთ არიან დაკავშირებული რაჭა-ლეჩხუმთან.

კურორტი შოვის არსებობა წარმოუდგენელია ამ გზის გარეშე. სწორეთ ასეთი გზა დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მასზე მიმოსვლა შეუძლებელია; ისეთი ხიდებია გზებზე, რომელთაც ხის ნაწილები სრულიად დამპალი აქვთ; გზის სივიწროვეზე და მის მდგომარეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სამხედრო-ოსეთის გზა ინახება სახელმწიფოს ხარჯზე; მაგრამ ის თანხა, რომელსაც იძლევიან ამ გზის შესანახათ, წვეთია ზღვაში.

ამ გზისთვის გაღებულა უნდა იქნეს სპეციალური თანხა, ისე როგორც ეს იყო საქართველოს-სამხედრო გზისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გზა სულ ახლო მომავალში დაიკეტება.

აქ, ყველაზე მეტათ ხმა უნდა აღიმაღლოს გზა-ტკეცილების სამმართველომ.

ი. მარდალეიშვილი.

სიბნელემ იცის გაჭირვება

„რა ვქნა შენი ჭირიმე ავადმყოფი პატრონი ვარ და თუ შეძლება მაპატიეთ გადასახადი; თუმცა სირცხვილია მაგისთვის მთავრობის შეწუხება, მაგრამ აბა რა ვქნა, როდესაც შვილის მოსარჩენს სოფელ ტახტი-ძირელ ბაციკაძეს რვა თუმანს ვაძლევ"—ასე სწუხდა ბუღეის თემის აღმასკომში მოსული წეროვნისელი გლეხი ეგნატე ა-სენიძე.

— ვინ არის ძია ის ბაციკაძე, ან რა ექიმია, ეკითხება ერთი ახალგაზრდა.

—„ჩემს შვილს, შვილო თეადორას გაუჩნდა და ეს ორი წელიწადი და[illegible] ვაჟკაცი, მიმასწავლეს, რომ ტახტისძირელი ბაციკაძე მაგისთანა ავდმყოფებზე სასწაულს ახდენს და არჩენსო.

წაველი და წავიყვანე ავადმყოფიც, ნახა და მითხრა მოვარჩენ, თუ კარგ გასამრჯელოს მომცემო. რვა თუმანი მთხოვა შენი ჭირიმე, ცალი ხარი გავყიდე და ოჯახში არაფერი დამიტოვებია სულ იმას მივეცი; შვილს მორჩენის ჯერ არაფერი ეტყობა.

მერე რატომ აქამდის არ მიმართე აღმასკომს დახმარებისათვის? შეეკითხა იქ მყოფი ერთი გლეხი.

— იმიტომ, შენი ჭირიმე, რომ უსწავლელი ვარ და არ ვიცოდი რა მექნა, ასე მითხრეს თეადორას ექიმები ვერ არჩენენო და მეც დავიჯერე. ახლა ველარც იმან მომირჩინა და არ ვიცი რა ვქნა.

— კაცო, ამბობენ, ძლიერ ატყავებს ხალხს ის ტახტისძირელი ექიმიო, სთქვა ერთმა.

— მერე თემაღმასკომი რათ არ აქცევს ყურადღებას მაგნაირ ხალხს შეეკითხა მაზრიდან ჩამოსული ამხანაგი.

განა მარტო ამ სოფელშია მატყუარები? ყველა სოფელშია. მაგ. ბაზარაშვილების მთელმა ოჯახმა ხელი მოჰკიდა მაგ საქმეს და საწყლებს ტყავს აძრობენ. ბრაზის და სიგიჟის წამალს ამზადებენ.

— ჩვენ სოფელშიც არის ორი დედაბერი, მაგრამ ვინ უშლის ხელობას, მუშტარი ბევრი ყავთ და ფულებიც ობრათ აქვთ, სთქვა ატოცელმა გლეხმა.

— მე რას მეტყვით შენი ჭირიმე, გამანთავისუფლებთ გადასახადისაგან თუ რა ვქნა?

— შენ წადი ძია, გაგანთავისუფლებთ და შენს შვილსაც უფასოთ მოგირჩენო—უპასუხა მაზრელმა.

რას ნიშნავს ცოდნა, რას ნიშნავს კარგი მთავრობა, მაგრამ ჩვენა ვართ ბნელაში, გვეუბნება მთავრობა—კარგ გზას დაადექიო, კიდევ გვეხმარება, მაგრამ ჩვენ მაინც ჯოჯოხეთისკენ მივდივართ,—ასე ამბობდენ იქ მყოფი გლეხები.

ჭ. მგ—ძე.

წერილებიდან

კახეთი

რთველი

წლევანდელ ყურძნის მოსავალს მაინცდამაინც ვერ დავემდურებით. რაც კი გადურჩა ფილოქსერას, რომელმაც 20—25 პროც. გაანადგურა შარშანდელ ზამთარს, დანარჩენში მოსავალი კარგი იყო. ზოგ სოფელში ისეთი უხვი მოსავალი იყო, რომ გლეხი ქვევრებს ვერ შოულობს. ვინაიდან გლეხის ცხოვრების უმთავრეს წყაროს მევენახეობა შეადგენს, გლეხი წინდაწინ ჰყიდის თავის მოსავალს. კოოპერატივები ამ საქმეში გლეხებს ვერ ეხმარებიან. ამიტომ გლეხები ჩარჩ-სპეკულიანტებს უვარდებიან ხელში. მაგრამ ამ ბოლო დროს სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობამ დაიწყო ყურძნის შესყიდვა და კარგ ფასადაც ყიდულობს, რამაც იხსნა გლეხები ჩარჩებისაგან.

ვან—ლი.

ორულ-ერგეტის თემი
(ზუგდიდის მაზრა)

ორულ-ერგეტის თემში არსებობდა სამკითხველო, რომელსაც გლეხები ძლიერ ეტანებოდენ. ახლა სამკითხველო დაგვიკეტეს, რითაც გლეხები უკმაყოფილო არიან. სამკითხველო ქვლავ უნდა გაიხსნას.

მოქმ.

დიდი ვანი (გურია)

გაგვიხსენით აფთიაქი

ამ თემში 340 მცხოვრებია. ამდენი ხანი აქ არც საექიმო პუნქტი იყო და არც აფთიაქი. მცხოვრებთ 15—20 ვერსის მანძილზე უხდებათ სიარული. მთავრობა შევიდა ჩვენს მდგომარეობაში და ამ რამდენიმე ხნის წინათ დაგვიარსა საექიმო პუნქტი. არ გვაქვს მხოლოდ აფთიაქი. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი უნდა დაგვეხმაროს და აფთიაქიც გაგვიხსნას.

ალიოშა დიდ-ვანელი.

თერჯოლის თემი
(შორაპნის მაზრა)

ეკენობის მსხვერპლი გახდა.

თერჯოლის თემის ერთ სოფელში, მწუხარელაში დღესასწაულობენ „ეკენობას". წელსაც დიდის ამბით გადაიხადეს ეს „დღესასწაული". „ეკენობის" მეორე დღეს მიხაკო მუჯირისას აივნიდან გადავარდა მთვრალი სიმონელი პეტრე არაბიძე, რომელიც დაიმტვრა და მეორე ღამეს გარდაიცვალა.

ვალ—ძე

ბოსლევის თემი (შორაპ. მაზრა)

ქურდ-ბაცაცები გამრავლდენ. ამ ბოლო ხანებში აქ გამრავლდენ ქურდ-ბაცაცები. ამას წინათ გაძარცვეს ერთი ებრაელი. რამდენიმე დღის წინათ თავს დაესხენ ხელაძის სახლს და წაიღეს ნივთები. ახლა კიდევ წერილი მიწერეს რამდენიმე პირს, ფული დაგვიმზადეთო. მილიციამ დროზე უნდა მიიღოს ზომები ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ.

თავბერა.

უხუთის თემი (ვანის რაიონი, ქუთ. მაზრა)

5-ს ოქტომბერს უხუთის თემში მოულოდნელათ დატრიალდა ქარიშხალი და სეტყვა. სრულიად გაანადგურა სიმინდი, ვენახები და ხეხილი, რომლის მოსავალი აქ კარგი იცის. ხალხი თავზარდაცემულია. კარგ მოსავალს უჩანდა პირი და ამ მოულოდნელმა ქარიშხალმა დაგვილუპა. კარგი იქნება, თუ მთავრობა გამოგზავნის წარმომადგენელს და გაიგებს ჩვენს გაჭირვებას. დღესვე საჭიროა დახმარება.

გლეხკორი **ტყისპირელი.**

სოფლის ქრონიკა

— **ს. საგარეჯოში** გაიხსნა სანიტარულ განათლების კუთხე. იქვე მოწყობილია იმავე სახელობის ბიბლიოთეკა.

— **წყალდიდობის ასაცდენათ** ქუთაისის აღმასკომმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა მდ. ყუმურის ნაპირების გასამაგრებლად 2.722 მან. რაოდენობით.

— **გორის აღმასკომმა** კომისია გაგზავნა ქარელში ნიაღვარისაგან დაზარალებულ გლეხების ახალ ადგილზე გადმოსახლების საკითხის მოსაგვარებლად.

— **საქონლის ჭირი.** სოფ. ბზინათგორაში (დუშეთის მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **ახალი ტეხნიკუმი.** ქუთაისში გაიხსნა საელექტრო ტეხნიკუმი.

ჩვენი ფოსტა

პარიზი. ა. ხ—ძეს. თქვენი წერილი მივიღეთ დაგვიანებით. შედეგი იცით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 1

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის და თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა. ქ. თბილისის სავაჭრო წარმოებებში მუშაობის და ვაჭრობის დროის განაწესის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის და თბილისის აღმასკომის ა/წ. 21/9 ს თარიღით და 44 №-ით და შრომსახკომის 1924 წ. 6/V-ს თარიღით და 15 №-ით გამოცემულ დადგენილებათა შესაცვლელად, შრომის სახალხო კომისარიატი და თბილისის აღმასკომი ადგენენ:

§ 1. პირველი ჯგუფის სავაჭრო წარმოებებში, რომლებშიაც შედიან მაღაზიები და საწყობები: მანუფაქტურის, გალანტერიის, რკინეულობის, წიგნის, კანცელარიის ნივთების, ბავშვთა სათამაშოების, სააფთიაქო საქონლის, ღვინის საწყობები, დამზადებულ ტანისამოსის, დამზადებულ ფეხსაცმელების, ჭურჭლეულობის, თამბაქოს, საკომისიო და საიუველირო ვაჭრობა, როგორც წვრილადი, ისე ბითუმად, ზამთრობით ვაჭრობა სწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

შენიშვნა 1: ზემოაღნიშნულ სავაჭროებში კვირა-უქმე და დასასვენებელ დღეებში ვაჭრობა სრულიად არ სწარმოებს.

შენიშვნა 2: შაბათობით და უქმე დასასვენებელ-წინა დღეებში, ზემოაღნიშნულ სავაჭროებში ვაჭრობა სწყდება ნორმალურ დროზე ორი საათით ადრე.

შენიშვნა 3: ღვინის საწყობებში (სარდაფები) ღვინის ადგილობრივ დალევინება სასტიკად აკრძალულია.

§ 2. მეორე ჯგუფის სავაჭრო წარმოებებში ვაჭრობა სწარმოებს:

ა) გასტრონომიულ მაღაზიებში, რესტორანებში, გამაგრილებელი წყლის და ყვავილების სავაჭროებში და საბილიარდოში, ზამთრობით დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

ბ) ხილის, მწვანილეულობის და რძის ნაწარმოების სავაჭროებში, სასადილო, საკონდიტრო, კაფე, საჩაიებსა და სახაშეებში-კი სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

შენიშვნა: გასტრონომიულ სავაჭროებში კვირა-უქმე და დასასვენებელ დღეებში ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 9 საათიდან დღის 1-საათამდე.

§ 3. მესამე ჯგუფის წარმოებებში, რომლებშიაც შედიან სავაჭროები: თევზეულობის და ხორცის, წვრილმანათ ან ბითუმად ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 ნახ. საათიდან საღამოს 5 ნახ. საათამდე.

§ 4. მეოთხე ჯგუფის წარმოებაში, სადაც შედის ყველა პურის საცხობები, მუშაობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან, საღამოს 10 საათამდე, ვაჭრობა კი დილის 7 საათიდან, ღამის 11 საათამდე.

შენიშვნა 1: ის პურისსაცხობები, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს ნებადართული პერიოდის განმავლობაში, ვალდებული არიან იყოლიონ მუშების ორი წყება.

შენიშვნა 2: იმ ფურნეებში კი, სადაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა-ხელი, ან სადაც მხოლოდ ერთი წყება მუშაობს, მუშაობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან, 2-მდე.

შენიშვნა 3: ღამის მუშაობა აკრძალულია ზამთრობით ღამის 10 საათიდან, დილის 6 საათამდე ყველა ფურნეებში, გარდა იმ ფურნეებისა, სადაც მუშაობა სწარმოებს სამ წყებად.

შენიშვნა 4: აკრძალულია მუშაობა კვირა-უქმე დღეებში, როცა ორი დღე ზედიზედ უქმეა, მეორე უქმე დღეს შეიძლება მუშაობის წარმოება, მხოლოდ ამ დღის ხელფასი გაღებული უნდა იქნეს როგორც უქმე დღის მუშაობისათვის. კვირა-უქმე დასასვენებელ დღეებში ვაჭრობა სწარმოებს ისე, როგორც საქმის დღეებში.

§ 5. მეხუთე ჯგუფის წარმოებებში, რომელთაც ეკუთვნიან ქალაქის ყველა საბაზრო ადგილები, ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 7 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდე.

შენიშვნა: ცენტრალური (ყოფ. სალდათის) ბაზარში ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 8 საათიდან, საღამოს 5 საათამდე.

§ 6. მეექვსე ჯგუფის წარმოებებში, რომელშიაც შედიან საპარიკმახეროები და სახელოსნოები, მუშაობა სწარმოებს პირველში ზამთრობით დილის 9 საათიდან, საღამოს 7 საათამდე, მეორეში—დილის 9 სათიდან, საღამოს 6 საათამდე.

შენიშვნა: საპარიკმახეროები და სახელოსნოები კვირა-უქმე დღეებში არ მუშაობენ.

შემოკლებული სამუშაო დღე საპარიკმახეროებისათვის შაბათის ნაცვლად დაწესდეს ორშაბათობით, როცა მუშაობა სწარმოებს დღის 1-ლიდან 7 საათამდე.

§ 7. მეშვიდე ჯგუფის წარმოებაში, რომელშიაც შედის აბანოები, მუშაობა სწარმოებს დილის 7 საათიდან, ღამის 11 საათამდე.

§ 8. ზაფხულობით ყველა ზემოაღნიშნულ ჯგუფის სავაჭროებში მუშაობა იწყება და თავდება ერთი საათით ადრე. ზამთრის დრო ითვლება 1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ მაისამდე, ზაფხულის კი—1-ლ მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე.

§ 9. ყველა ის სავაჭრო-სამრეწველო წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მუშაობა 8 საათზე მეტია, დაცული უნდა იქნეს ამ საგანზე არსებული შრომის დაცვის სათანადო კანონები.

§ 10. თითოეულ მოსამსახურეს აუცილებლად ეძლევა სამუშაო დღის განმავლობაში საუზმისათვის საჭირო დასვენება არა უმეტეს ნახ. საათისა, ვაჭრობის ნორმალურ მსვლელობის დაუბრკოლებლივ.

§ 11. ყველა სავაჭრო-სამრეწველო წარმოება-დაწესებულებებში მეპატრონენი ან გამგენი ვალდებულნი არიან გამოკიდონ თვალსაჩინო ადგილას ფირფიტა მუშაობის დროის ზედ აღნიშვნით.

§ 12. სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს მოზრდილთათვის 8 საათს, მოზარდთათვის (16-დან 18 წლამდე) 6 საათს და მცირეწლოვანთათვის (14-დან 16-მდე) 4 საათს.

შენიშვნა: მოზარდთა და მცირეწლოვანთა მუშაობა შეიძლება დაშვებულ იქნეს შემდეგ პირობებში: მოზარდთათვის პირველი რიგი 8 საათიდან 12 საათამდე და მეორე რიგი შუადღის 2 საათიდან 4-მდე, მხოლოდ მცირეწლოვანთათვის დილის 9 საათიდან პირველ საათამდე.

§ 13. კოოპერატივებში და იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებშიაც მრავალი მყიდველი იყრის თავს, კარები იკეტება ნახევარი საათით ადრე ვაჭრობის შეწყვეტამდე და შესავალ კარებზე გამოიკიდება განცხადება წარწერით: „მაღაზია დაკეტილია".

§ 14. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის თვალყურის დევნება ევალება დაქირავებულ პირთა შრომის დაცვის დარგში შრომის ინსპექციას და დანარჩენ ნაწილში მუშათა და გლეხთა მილიციას.

§ 15. ამა დადგენილების შრომის დაცვის წესების დამრღვევნი დაისჯებიან შრომის ინსპექტორების მიერ ადმინისტრატიული წესით, დანარჩენ წესთა დარღვევისათვის თბილისის აღმასკომის მიერ აგრეთვე ადმინისტრატიული წესით, თავისუფლების აღკვეთით ანუ იძულებითი სამუშაოთი 2 თვემდე, ან დაჯარიმებით ას მანეთამდე.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომ. მოადგილე **გ. ბერბერაშვილი.**

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მაგ. **ივანოვ-კავკასსკი.**

შრომის დაც. გან. გამგე **ჯიჯაძე.**

ადმინისტრატიული გან. უფროსი **ხმალაძე.**

შეთანხმებულია: ს. პ. კ. ს. პასუხისმგებელი მდივანი **ყურულაშვილი**

1925 წ. 25 ოქტომბერი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ

მე-3-ე რაიონის პარტკონფერენცია,

რომელიც დანიშნული იყო 19 ოქტომბრისთვის, **შესდგება შაბათს, 24 ოქტომბერს,** საღამოს 5 საათზე, მე-3-ე რაიკომის პარტკლუბის შენობაში.

მდივანი: **ფართაპეტიანი.**

ორშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ამიერ-კავკასიის საანგებო კომისიის მე-8-ათასეულის კლუბში—„კატორ" (ერმოლოვის ქ. № 6) იხსნება ქალაქის მე-4-ე რაიონის „ავიაქიმ"-ის კონფერენცია. უჯრედთა მდივნებს წინადადება ეძლევათ იზრუნონ კონფერენციის დელეგატებისათვის მანდატების მისაღებად. მანდატების გაცემა სწარმოებს 9 საათიდან დღის 3 საათამდე „ავიაქიმ"-ის შენობაში (გლეხის ცენტრალური სახლი).

„ავიაქიმ"-ის მე-4-ე რაისაბჭოს პრეზიდიუმი.

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სანიტარული განათლების განყოფილების შენობაში (ჩერქეზიშვილის ქ. № 108) მოწვეულია **„რემედას"-ის საქალაქო კონფერენციის დელეგატების და უჯრედთა მდივნების თათბირი.** აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ყველა უჯრედთა მდივნები და ქვემოდ დასახელებული ამხანაგები: 1. გოლბხაერი, 2. თაბუკაშვილი, 3. ტორომანოვი, 4. მინაევი, 5. ივანოვა, 6. კალიადინი, 7. ლილუაშვილი, 8. კაზოჩკინი, 9. სემენიკინი, (21 სამხ. სკ.) 10. ბიაზინი (21 სამხედრო სკოლა), 11. კარატიუნი, 12. გოგოტაძე, 13. კუზნეცოვი, (21 სკოლ.) 14. სურმავა, 15. ხელაძე, 16. ზელენიუკი, 17. კაციაშვილი, 18. კალანდაძე, 19. დედ ნოვი შ., 20. კირმელაშვილი, 21. მიქელაძე, 22. გაჩეჩილაძე, 23. კარგინი, 24. ალექსეევი, 25. ობოდჩენკო, 26. კობიძე, 27. ბაზიერაშვილი, 28. ხარატაშვილი, 29. წამალაშვილი, 30. აფხაზავა, 31, ვარლამოვა, 32. აფრიდონიძე, 33. საარჯევი, 34. ზაქსი, 35. ნატრაშვილი, 36. შტიურდი, 37. კოპანი, 38. სიამოვი, 39. კიბალნიჩენკო, 40. დეკაბრილევიჩი, 41. მუმლაძე, 42. ფრონელი, 43. გლუშკოვი, 44. გუდავაძე, 45. პარეიშვილი.

„რემედახი"-ის ლენინის რაიკომის პრეზიდიუმი.

ს. კ. პ. ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, შესდგება ლენინის რაიკომის ნორმალურ პოლიტსკოლების 1-ლი საორგანიზაციო კრებები. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ხელმძღვანელთათვის შემდეგ პუნქტებში:

1. პლეხანოვის სახელობის კლუბში—ამხ. ამხ. სალარეიშვილი, როზენგაუზი და აზრუმანოვი.
2. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი—ამხ. ამხ. იმოსოვი, გლუხოვი და ბახტაძე.
3. გ. ს. კ.—ოხრანაში—ამხ. გაჩეჩილაძე.
4. ა/კ. რკ. გზის სამმართველოში—ამხ. ორლოვი.

ს. კ. პ. ლენრაიკომის სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგის მოადგილე **ხაყვარელიძე.**

საქ. ახ. ლენ. კომ. კავშირის სახ. უნ. უჯრედების ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია ეკონომიურ ფაკულტეტზე მყოფ ლენინური კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. ყველა ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროს უნივერსიტეტის შენობაში.

ბიურო-კოლექტივი.

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, შესდგება ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის **სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის სხდომა.**

კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ცკას სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგე: **ბახტაძე.**

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე 3-ე რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, კომკავშირის მე-3-ე რაიკომის ბინაზე შესდგება უჯრედთა ბიუროების კონფერენცია. დღის წესრიგი: 1) ბიუროების არჩევნების შედეგები და უჯრედთა ბიუროების მუშაობის პერსპექტივები, 2) სხვა დასხვა. სავალდებულოა უჯრედთა ბიუროების ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება დაუგვიანებლათ.

პასუხისმგებელი მდივანი: **აზარაშვილი**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა განმანაწილებელ განყოფილებაში:

1) აბულაძე რომან, 2) დარჩიევი კონსტან. 3) ძამოევი იოსებ, 4) ხურციძე იუსტ., 5) კაჯოევი ნიკ., 6) პახუნკინი პავლე და 7) სარქისიანი ხაჩატურ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება ქართული შემოკლებულ პოლიტსკოლის საორგანიზაციო კრება.

სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება: **სახერხი ქარხანა:** 1) ჯანყარაშვილი, 2) მეტიაშვილი, 3) ობუაშვილი, 4) ჩაგიაშვილი, 5) სხირტლაძე, 6) მარტიჩიანი, 7) კირულაშვილი, 8) ლომიძე, 9) ეთიგაროვი, 10) მლებროვი. **მე-8-ე ქარხანა:** 1) შაგინიანცი. **„ავტოპრომტორგი":** 1) მიქაძე, 2) ქევხიშვილი, 3) გურჭიძე. **ცეკავშირი:** 1) ჭანტურიძე ა., 2) ბერიძე ს., 3) ნინოშვილი, 4) არჩვაძე. **მილიცია:** 1) შაზამოვი., 2) ბერულავა პ., 3) მურადოვი ს., **სპილენძის ქარხანა:** 1) მაგიაშვილი. **რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბ. ქარხანა:** 1) გუკასოვი მ., 2) გერმანოზაშვილი მ., **არსენალი:** 1) სოქურაშვილი, 2) ნარიმანაშვილი. **„26"-ის სახელობის ქარხანა:** 1) ტეხაშვილი გ., 2) შაიშმელოვი, 3) დაიანიძე, 4) ნარიმანაშვილი.

მდივანი: **მელაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის პრ. № 96) შესდგება ქართული შემოკლებული პოლიტსკოლის ორგანიზაციული კრება. სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება: **კინო-ფაბრიკა**—1) იაკობიძე, **ჯანსახკომი**—1) მათიკაშვილი, 2) ყოჩიაშვილი. **მუშკოოპის ტრანსპ.**—1) სხირელი ალექსი, **ს. მ. უ. ს.**—1) თარხანოვი მ., 2) ბეგიაშვილი მ., 3) არუთინოვი ნ. **„სანტეხ"-ი**—1) ჯილავდარიშვილი, 2) შატიროვი, 3) მესტიაშვილი, 4) ქობულაშვილი, **„ზაკსოიუზ"**—1) ვარსიმაშვილი, **სახ. ვაჭ. სამმართველო**—1) დორეული, 2) პოლშ ნი. **თამბ. ფაბრიკა „პროლეტარი"**—1) მაგინოვი კონსტან., 2) ბურძენიძე. **კარდონის ფაბრიკა**—1) ბალდასაროვი გ., 2) მელითაშვილი, 3) ვართანოვი ს., 4) დარჩიაშვილი, 5) თოფურია, 6) შიოშვილი მარ., 7) გაშჯირაშვილი მ.

მდივანი: **მელაძე.**

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მელანია ანტონის ასული, ალექსანდრე სარდიონის ძე და და ეთერი ანთაძეები, ბებია შუშანა იორდანის ასული მუმლაძისა, მამიდები ვერა, ლუბა და სიძე ნიკოლოზ ქობულაშვილი, მარო ლაზარეს ასული, შალვა ივანეს ძე და მერი დავითაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა/წ. 20 ოქტომბერს ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პირველთა შვილი, მეორის ძმა, მესამეთა შვილის-შვილი და მეოთხის ძმის შვილი და უკანასკნელის დეიდაშვილი

ნოდარი ანთაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ა/წ. 21 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება მოხდება მატერიალურ ქ. № 16 ვერის-ნიკოლოზის ეკლესიაზე.

ოპერა სახელმწიფო
დღეს, 21 ოქტომბერს
კარმენი
ბარონკინას და კიპარენკოს მონაწ.
ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს
სევილიელი დალაქი
ოპერა სახელმწიფო
84 3—1

აპოლლო
[illegible]
სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი
„კოლეჟსკი რეგისტრატორ"
მთავარ როლში—მოსკვინი
ის პირნი, რომელნიც შეიძენენ ბილეთებს პირველი სეანსის დაწყებამდე იხდიან: პარტერში—35კ., ამფიტეატრ.—25 კ., მე-4 ადგ.—20 კ.
„მისი სიამაყე" ნორმა ტოლმეჯის მონაწილეობით
სოლოს სკრიპკაზე შესრულებს იაშა ბროდსკი
სეზონის ახალი სურათი
„БЕЛАЯ МОЛЬ"
სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით.
0—1 ნ. № 89

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი
ამით აცხადებს, რომ ა/წ. 1 ოქტომბრიდან
საქართველოს ს. მ. უ. ს.
სააღმშენებლო მასალების ტრესტი
თავისი ქონებით გაერთიანებულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სამთო-ქიმიურ კომბინატთან,
რომლის სამმართველო მოთავსებულია თბილისში, მაჩაბლის ქუჩა (ყოფ. სერგეევის), № 1.
ამის გამო, ყველა დაწესებულებებმა და პირებმა ყოფილ სააღმშენებლო მასალების ტრესტის საქმეების შესახებ უნდა
მიმართონ
სამთო-ქიმიურ კომბინატს,
სადაც შეტანილი უნდა იქნეს ყველა თანხები სააღმშენებლო მასალების ტრესტის ანგარიშების მიხედვით.
ნ. 88 1—1.

ე. ქ. ნ. პ. ფალაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7.
ბელინსკის ქ. ბაქრაძის შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექიმი ვ. ს. არგუტინსკი
ელისაბედის ქუჩა, 53.
ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

დაიკარგა სახალხო ზემო-კვების კავშირის წიგნაკი № 2497 ილია მაღულარიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 248
დაიკარგა სახალხო ზემო-კვების კავშირის წიგნაკი № 2496 სანდრო ალავიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 249
დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ილია ვასილის ძე ახმეტელის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 253
დაიკარგა ავია-ბაზის ადგილკომის № 7 ჩ. დ. ჩ. გ. 1—1 ქვ. 251
დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ნიკოლოზ ჯაშის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 252
დაიკარგა სახალხო ზემო-კვების კავშირის წიგნაკი № 2498 ასკალონა სვანიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 250
დაიკარგა სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი № 29[illegible] შალვა ივანეს ძე ბადრიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 243
დაიკარგა კავშირის წიგნაკი სპირიდონ გოგრიჩიანის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 242
დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი შალვა კილაზის ძე დათიკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 241
დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1465 და მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი № 2771 ალექსანდრე სიმონის ძე ბილიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 247
დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი № 92 ილია კუკუტიას სახელზე ჩ. გ. 1—1 244
დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1046 გიორგი ღურიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა ხარ-კომ ჩის მოწმობა № 66 მინა ლომიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 53 ალექსანდრე მოლაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა მოწმობა № 81 ვასო დუდაურის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა სამხედრო ცხენოსანთა პირადი წიგნაკი № 61 იოანე შონიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა სასურსათო ბარათი № 273359 ანდრო გოგოძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ფურცელი № 12539 პავლე ფერაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 244
დაიკარგა სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი № 349 გიორგი მარიკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 245
დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 21944 ვარვარა ჯიბაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 246

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ [illegible] ქუჩა № 4